სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 8 ივლისი 2008 №155 (3379) ფასი 50 თეთრი

რუმენიგეს ბოლო და ნაღდი ახლაც გააქვს უეფას თასს სილიკონს უდგამენ

კარლ-ჰაინც რუმენიგემ, ვინაც მიუნხენის „ბაიერნს“ წარადგენს ევროპულ კლუბთა ასოციაციაში, უეფას თასისთვის სახელის გადარქმევა და უეფას ევროპული ლიგის დარქმევა შესთავაზა ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას.

ერთი სიტყვით, როგორც ჩემპიონთა თასი გადაკეთდა ჩემპიონთა ლიგად, ზუსტად ასევე უეფას თასი უეფას ლიგად უნდა იქცეს.

ამ ნოვაციას უეფა სექტემბერში, ბორდოში უყრის კენჭს და ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ 2009-1010 წლების სეზონიდან ახალი ლიგა გვექნება.

თუმცა მთავარი, რა თქმა უნდა, არა სახელი, არამედ შინაარსია. პროექტი უეფას ლიგის ზუსტად იმავე ფორმატით ჩატარებას გულისხმობს, რითაც ჩემპიონთა ლიგა ტარდება. თავად უეფაშიც აღიარებენ, რომ ახლანდელი ჯგუფური ეტაპი, სადაც ხუთგუნდა ჯგუფში მეტოქეები ერთ წრედ ხვდებიან ერთმანეთს, ეფექტური და მიმზიდველი არ არის.

მოკლედ, ყველაფერი ჩემპიონთა ლიგისგან დაჩრდილული უეფას თასის პრესტიჟულობის გაზრდისკენ მიდის, ქართველებს კი საკითხავი ის გვაქვს, ჩვენი კლუბები როდის ითამაშებენ ნაღდ ლიგაში, გნებავთ, ჩემპიონთა იყოს და გნებავთ, უეფასი.

ვიცით, ვინ მოდის და არ ვიცით, ვინ დარჩება





საქმე იქითკენ მიდის, რომ ავრაამ გრანტი და ფოლკერ ფინკე თბილისში ჩამოვლენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული გუნდის მომავალ მწვრთნელად ამათგან ერთ-ერთს უფრო განიხილავს, ვიდრე რომელიმე სხვა სპეციალისტს.

რჩება ზიკოს ვარიანტიც, თუმცა ფედერაციას მისი გასამრჯელო ებევრება.

აი, ექტორ რაულ კუპერი და რობერტო დონადონი, ქართული პერსპექტივით მაინცდამაინც ვერ მოიხიბლნენ და, შესაბამისად, მათი დანიშვნის პერსპექტივა ძალიან მცირეა.

რუსთავი მულტიკულტურული ქალაქია ოლიმპი გლოგუსს ატრიალებს

რუსთაველებმა აზერბაიჯანული „სიმურგი“ 21 დიამარტს

ფოტო: ფოლიანტ ფოტო

განახლებული „სიონი“

ალექსანდრე კოშკაძე და რომან ახალკაცი

ოთარ კორღალიძე

ბაჩანა ჯეჯელაძის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები 2:1 სიონი

ლევან მელქაძე ოლიმპიკში ისინჯება

მიხეილ ხუციშვილი, რომან ახალკაცი, ლევან მელქაძე — გუშინ მათ ბაქოს „ოლიმპიკის“ მაისურით ითამაშეს ბოლნისის „სიონთან“ ტესტ-მატჩში. ხუციშვილი და ახალკაცი გასაგებია, მათ უკვე გააფორმეს კონტრაქტი აზერბაიჯანის ჩემპიონატის მეორეადგილოსანთან, მელქაძე კი გუშინწინ „გაგრაში“ რომ იყო, გუშინ „ოლიმპიკში“ გაისინჯა და გოლიც გაიტანა.

ბაქოელებმა 2:1 სძლიეს „სიონს“ და ქართლელთა კარში მეორე გოლიც ქართველისა იყო: რომან ახალკაცმა 69-ე წუთზე თავურით გახსნა ანგარიში. რაც შეეხება მელქაძეს, მან მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს ცაცია შეაგება და ბოლნისელთა მეკარე მინდია ბობღიაშვილს მოგერიების შანსი არ ჰქონია — ეს 89-ე წუთზე მოხდა. ოთარ კორღალიძის გაწვრთნილმა „სიონმა“ ამის შემდეგღა შეამცირა სხვაობა: ბექა ნოზაძის ჩაწოდებული გიორგი კვიტაიშვილმა ახლო მანძილიდან თავით გადაგზავნა კარში.

ხუციშვილმა და ახალკაცმა სრულად ითამაშეს, მელქაძე კი 57-ე წუთზე შევიდა მინდორზე. „ხუცო“ შემტევი ნახევარმცველი გახლდათ, რომანმა კი მეტწილად მარჯვენა ნახევარმცველად ითამაშა, თუმცა ზოგჯერ თავდამსხმელადაც ირჯებოდა. აქვე ვთქვათ, რომ ჩვენიანები საუკეთესონი იყვნენ „ოლიმპიკში“.

ეს ტესტ-მატჩი დიღმის მასივში, საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკის“ მინდორზე გაიმართა და 19 საათზე დაიწყო, ამიტომაც თამაშის ბოლოსკენ ცოტა ჩამობნელდა კიდეც.

„სიონში“ ერთი ახალწვეულიც გამოჩნდა: თავდამსხმელი ირაკლი შენგელია, რომელმაც წინა სეზონის მეორე წრე „მერანში“ გაატარა. რაც შეეხება ვლადიმერ უგრეხელიძეს, იგი ბაქოს „სტანდარდიდან“ კი დაუბრუნდა „სიონს“, მაგრამ მცირე ტრავმა აწუხებს და აიყვანენ გუნდში თუ არა, ჯერ გადასაწყვეტია. სავარაუდოდ, არა...

პირველი ტაიმის შემხედვარე, „სიონს“ წასაგები არაფერი ჰქონდა. ყველაზე რეალური საგოლე მომენტი კი ბორის გონჩაროვმა გააცუდა, როდესაც ბაქოელთა მეკარემ შოთა ჯიქიას გასროლილი ხელში ვერ შეიმაგრა და გონჩაროვმა დამატებაზე ვერ ივარგა — მეკარეს გაარტყა ბურთი.

ჯიქია-გონჩაროვი შემტევი წყვილი იყო, მათ უკან ფლანგებზე ლევან სანიკიძე და ალექსანდრე კოშკაძე თამაშობდნენ, ნახევარდაცვის ცენტრში ზურაბ ავალიანი და ლევან სილაგაძე. კორღალიძემ მეკარე ზურაბ მამალაძის გარდა, ყველა სამარქაფო შეიყვანა მეორე ტაიმში და უნდა ითქვას, ბოლნისელთა თამაში გაუარესდა — შესვენების შემდეგ „ოლიმპიკმა“ მცირე უპირატესობა მოიპოვა და გოლებშიც გარდასახა.

„სიონის“ შემადგენლობა: *ბობღიაშვილი, ქურასბედიანი, ქემოკლიძე, სვანიძე, ხუბუა, სილაგაძე (ბ. ნოზაძე 60), ავალიანი (ზ. ჭელიძე 70), კოშკაძე (კვიტაიშვილი 52), სანიკიძე (ი. შენგელია 52), შ. ჯიქია (შავგულიძე 62), გონჩაროვი (ალავერდაშვილი 59).*

12 ივლისს 18 საათზე „სიონი“ ბოლნისში კიდევ ერთ აზერბაიჯანულ გუნდს ეთამაშება — ზაქათალის „სიმურგს“.

ილია ნანოგაშვილი

ოლიმპმა უცხოეთი გამოფინა

გუშინ რუსთავის „ოლიმპმა“ კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართა, მეტოქედ ქართველებით დახუნძლული აზერბაიჯანული „სიმურგი“ ჰყავდა და 2:1 დაამარცხა.

„სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ „ოლიმპში“ რამდენიმე უცხოელია გასინჯვაზე. რუსთაველთა თავკაცმა ხვიჩა ქასრაშვილმა „სიმურგთან“ სამი მათგანი ათამაშა — ჰოლანდიელმა ცენტრალურმა მცველმა იოჰან ველსიუსმა პირველ ტაიმში კუნთი იტკინა, მის ნაცვლად უნგრელი ზოლტ სალკაი გამოვიდა. ის 23 წლისაა და მარჯვენა მცველია. მესამე ახალწვეული კი ბრაზილიელი თავდამსხმელი მენდეშ ბეუშკაა. მათ ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ.

კიდევ ორმა ბრაზილიელმა, თავდამსხმელმა რიჩარდ იზბერნერმა და მცველმა შარლ მორაიშმა ტრიბუნიდან ადევნეს თვალი თამაშს.

პირველმა ტაიმმა რუსთაველთა უპირატესობით ჩაიარა, გოლიც საკმაოდ მალე გავიდა — მე-11 წუთზე გიორგი მეგრელაძის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა რევაზ გეწაძემ აქცია გოლად — 1:0.

საერთოდაც, პირველ ნახევარში ყველაზე აქტიური იყო გეწაძე. რაც შეეხებათ სიმურგელ ქართველებს — მიხეილ მახვილაძე პირველ ნახევარში მარჯვენა მცველი იყო, მეორეში კი საყრდენ ნახევარმცველად გაისარჯა.

მარცხენა მცველად იყო კახა ჩხეტიანი, მისი ძმა ზვიადი კი 75-ე წუთზე მახვილაძის ნაცვლად ჩაერთო თამაშში.

„სიმურგის“ გამთანაბრებელი გოლი 50-ე წუთზე დავით ბოლქვაძის ჩაწოდების შემდეგ გავიდა.

58-ე წუთზე კი გიორგი ფეიქრიშვილმა კედელი გაითამაშა მენდეშთან და ულამაზესი გოლი გაიტანა — ბურთი დაახლოებით 25 მეტრიდან ცხრიანში გაახვია.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელმა თამაშმა ხისტ ბრძოლაში ჩაიარა, მატჩის მიწურულს ბოლქვაძემ ტრავმაც მიიღო და შესაცვლელი გახდა, თუმც, საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა.

რუსთაველთა შემადგენლობა ასეთი იყო: *მერლანი, გიგაური, მაჭავარიანი, თ. ლონლაძე, ველსიუსი (სალკაი 46), გაბიდაური (დობროვოლსკი 46), ფეიქრიშვილი, გეწაძე (სებისკვერაძე 80), ბაბუნაშვილი, მეგრელაძე (მენდეში 55), გაგა ჩხეტიანი.*

ტრავმის გამო არ უთამაშია კოკა მიკუჩაძეს — მას კოჭი აქვს გადაბრუნებული. ამავე მიზეზით არ იყო კახა მახარაძეც, დავით ჭიჭვეიშვილს კი ქასრაშვილმა დასვენების საშუალება მისცა.

ეს გუნდები 10 ივლისს კიდევ ერთხელ გაეჯიბრებიან.

ნუკრი ლოლაძე

ბაჩანა ჯეჯელაძის ფოტო

კახელიშვილი დაბრუნდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და რუსთაველის „ოლიმპის“ ნახევარმცველი გიორგი კახელიშვილი ლატვიურ „დინაბურგში“ მოწყობილი რომ გვეგონა, გუშინ „ფოლადზე“ „ოლიმპი“ — „სიმურგის“ თამაშზე შევნიშნეთ და, ბუნებრივია, ჩამოსვლის მიზეზი ვკითხეთ: „დინაბურგში“ არც ისე კარგი პირობები დამხვდა და იქ დარჩენის აზრი ვერ დავინახე. ცოტა ხნით „ოლიმპში“ გავაგრძელებ ვარჯიშს, თუმცა საქართველოში გაჩერებას არ ვაპირებ. მაქვს რაღაც ვარიანტები და ენახოთ...“

ნუკრი ლოლაძე

ხვიჩა ქასრაშვილი

ბრაზილიელები — მორაიში და რიჩარდ იზბერნერი

მენდეში

ზოლტ სალკაი



იოჰან ველსიუსი

ბაჩანა ჯეჯელაძის ფოტოები

ნორვეგია

ტიპელიგა. XII ტური

ვიკინგი 1:1 ფრედრიკსტადი

I დივიზიონი. XII ტური

ალტა 0:2 ჰიონეფოსი

უკრაინა

ალსვენსკა. XIII ტური

ჰამარბი 4:3 ნორჩიოპინგი

გიოტებორგი 1:1 ჰელსინგბორგი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XI ტური

იარო 2:2 ვაასა



ფათიჰ თერიმის ფოტო

ისევ ჩამოვსხდეთ და შევიჭმუხნოთ წარბები, ჩავფიქრდეთ და ამოვიოხროთ. ძალიანაც ნუ მოვიწყენთ, ჩავიცინოთ კიდეც, თუმცა, ჩაფიქრებით, ფილოსოფიურადო, რომ იტყვიან, ისე.

ჰოდა, ერთხელაც ვიკითხოთ: ვინ გახდება ჩვენი ნაკრების მწვრთნელი?

ყველაზე მეტად ამ შეკითხვაში ის მომწონს, რომ... თუკი რამე არის სუფთად მოსაწონი ამ შეკითხვაში, იგი თავისი არსით ინგლისურ და ბრაზილიურ მნიშვნელობას იძენს.

ეს უცნაურია, მაგრამ ასეა.

ინგლისშიც და ბრაზილიაშიც ნაკრების მწვრთნელის დანიშვნა ისეთი სუპერნაციონალური თემაა, რომ სხვაგან არსად ამგვარი განწყობით მწვრთნელი არ ინიშნება. ბრაზილია ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონია, ინგლისი ერთის და ისიც უხსოვარ დროში. ბრაზილიაში მწვრთნელი ინიშნება მხოლოდ ერთი მიზნით — ის მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გახდეს. თქვენ იტყვით, რომ ასეა იტალიაშიც და გერმანიაშიც, და ეგებ ბოლო ხანია, ასეა საფრანგეთშიც. მაგრამ ამ ქვეყნებში ასეც არის და ასეც არ არის. ბრაზილია სულ სხვაა. სულ სხვა. განწყობა აქ არის ცეცხლის ხაზი. პირდაპირი მნიშვნელობით.

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ასეა ინგლისშიც. სხვა მიზანი ნაკრების მწვრთნელს არასდროს აქვს. სხვა მიზნით მწვრთნელი არ ინიშნება. და სხვა საზოგადოებრივი განწყობაც არ არსებობს. არსად მსოფლიოში ნაკრების მწვრთნელზე არ არის იმ ძალის დაწოლა, როგორიც ინგლისსა და ბრაზილიაში. ეს მხოლოდ პრესა არ არის. ეს არის რაღაცნაირი, განსაკუთრებული საერთოეროვნული დაწოლა. ბრაზილიაში ეგებ ხმამაღლა და ემოციურად გამოხატული, ინგლისში — უთქმელად, მაგრამ წარმოუდგენელი შინაგანი ძალით.

ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, ლუის ფელიპე სკოლარიმ, ვინც ბრაზილიას მსოფლიოს ჩემპიონობა მოუტანა, ოთხ დღეს ვერ გაუძლო ინგლისის ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატობას. ვერ გაუძლო კი არა, აღარ მოინდომა ის, რაც იცოდა... შვილის სკოლის კართან ატუზული ჟურნალისტები აღარ მოუნდა. არ უღირდა. თან, ინგლისი ვერ ხდება ჩემპიონი.

ჰოო, ამხელა ამბავი იმიტომ მოვყევი, რომ აი, ახლა ჩამონათვალი არსებობს: გრანტიო, დონადონიო, ზიკოში წელიწადში მილიონზე მეტიო და ასე შემდეგ.

სულ ვფიქრობ: იციან, სად მოდიან?

მეორე ტოპმიოლერული განწყობა გავა აქ?

ჩვენ ჯერ მსოფლიოს ჩემპიონობა არ გვინდა, მაგრამ კარგა ხანია, არსებობს მოთხოვნა: უნდა გავიდეთ!

რატომ არსებობს ეს მოთხოვნა მტკიცე ფორმით, სხვა საკითხია, მაგრამ არსებობს და ასე ძალიან გამოცდილი მწვრთნელიც კი წახდა. ტოპიზე ვამბობ. იმიტომ წახდა, რომ, უბრალოდ, სამუშაოდ და ხელფასის ასაღებად იყო მოსული.

არ ვიცი, როგორ მიდის მოლაპარაკებები ცნობილ და ნაკლებად ცნობილ კაცებთან, მაგრამ სახალხო გულისთქმა რომ იოლად მივახვედროთ იმ ხალხს, ვისაც ველაპარაკებით, შუა საუბრისას უბიდან უნდა ამოვაძვრინოთ ფათიჰ თერიმის ფოტო, დავანახოთ და ვუთხრათ:

— აი, ეს გვინდა, სერ... და ამდენს ვიხდით.

მეტი არაფერი. მე ეგრე მგონია.

ხოოოო, გართულდა ცხოვრება...

გამოკვეთილი ორიგ

ფინკე და გრანტი ჩამოსვლას გეგმავენ

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის საკითხი კვლავ ღიაა, თუმცა ნელ-ნელა კონტურები იკვეთება და კანდიდატთა სიაც თხელდება.

როგორც გუშინ გამცნეთ, სადღეისოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ებრაელი ავრაამ გრანტის პასუხს ელოდა და, როგორც გაირკვა, დიდი შანსია, ის მალე თბილისში ჩამოვიდეს.

ჯერჯერობით უცნობია, რა პირობები წამოაყენა გრანტმა, მაგრამ ის, რომ ებრაელი სპეციალისტი ქართული ვარიანტით დაინტერესდა, ფაქტია.

„ჩელსის“ ექსთავკაცის დარად, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი გერმანელი ფოლკერ ფინკეა.

როგორც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გვითხრა, ფინკეც თანახმაა, თბილისში გვესტუმროს და ახლა ამ ვიზიტის დეტალები ზუსტდება.

დარჩნენ ზიკო, ექტორ რაულ კუპერი და რობერტო დონადონი.

ამათგან ზიკო მაღალხელფასიანია, თუმცა მასთან მოლაპარაკებას სფფ ისევ აგრძელებს. რაც შეეხებათ კუპერს და დონადონის, მათ პასუხები აღარ შეუტყობინებიათ და, შეიძლება ითქვას, მათზე აქცენტი ალბათ აღარც გაკეთდება...

თუმცა ვინ იცის...

ძახა შალამბერიძე

ასათიანმა დინამო იუარა

თუ წავალ, მხოლოდ ევროპაში



საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველ მალხაზ ასათიანით კიევის „დინამო“ რომ დაინტერესდა, უკვე ვწერდით.

რუსული პრესის ცნობით, იური სიომინი მზადაა, ქართველი ფეხბურთელის შესაძენად „ლოკომოტივთან“ მოლაპარაკებები დაიწყოს, თუმცა ეს ინფორმაცია გუშინ ასათიანმა ჩვენთან საუბარში უარყო. მისი თქმით, პირადად არავინ დაკავშირებია და, სულ ცოტა, სეზონის ბოლომდე არსად გადასვლას არ აპირებს.

ცნობილია ისიც, რომ მალხაზს წასვლა უფრო მაღალი დონის ევროპულ კლუბში სურს და ამის გათვალისწინებით, ცოტა ძნელად დასაჯერებელია, კიეველთა წინადადებას დათანხმდეს.

ძახა შალამბერიძე

სტეფანიშვილმა ზესტაფონს თურქეთში ჩააკითხა



„ზესტაფონი“ რომ თურქეთშია შეკრებაზე, არახალია. იმერლებმა ჯერ მხოლოდ ერთი თამაშის გამართვა მოახერხეს — თურქეთის ქვედალიგელ „სანდიუფა ბელედიესფორს“ 5:0 მოუგეს. 9 ივლისს „ზესტაფონი“ კიდევ გეგმავს ტესტ-მატჩს.

გუშინ კი სანდო წყაროდან შევიტყვეთ, რომ თემურ მახარაძის გუნდში მატებაა — თურქეთში გუნდს ჩააკითხა ნახევარმცველმა ნიკოლოზ სტეფანიშვილმა, რომელიც გასული სეზონის მეორე წრეში რუსთავის „ოლიმპში“ გამოდიოდა, უკრაინელი მწვრთნელი ანატოლი პისკოვეცი მას ენდობოდა და, თუ გახსოვთ, რუსთაველებმა მეორე წრის პირველ ტურში „ეროვნულზე“ 2:1 რომ მოუგეს თბილისის „დინამოს“, სტეფანიშვილის, დავით დევდარიანის და უკრაინელი ალექსანდრ ომელიანოვის დიდი დამსახურება იყო.

ცოტა ხანში „ოლიმპი“ დატოვა პისკოვეცმა, გუნდი ხვიჩა ქასრაშვილმა ჩაიბარა და სტეფანიშვილიც იქაურობას მალევე გაეცალა.

ცნობისთვის, სტეფანიშვილი „გაგრას“ საკუთრებაა — საჩხერის „ჩიხურადან“ გაგრელებმა გამოისყიდეს და „ოლიმპმა“ იჯარით აიყვანა.

სტეფანიშვილისთვის „ზესტაფონი“ მეოთხე კლუბი იქნება — ამ 27 წლის ნახევარმცველს საჩხერის „ჩიხურაში“, ჭიათურის „მაღაროელში“ და რუსთავის „ოლიმპში“ უთამაშია.

ნუკრი ლოლაძე

სოსო გრიშიკაშვილი დაჩიადან მობრუნდა



სოსო გრიშიკაშვილი რომ მოლდოვურ „დაჩიაში“ იყო წასული, ეს გეცოდინებათ. სოსო ამჯერად თბილისშია და თბილისის „დინამოში“ დარჩება, რადგან კონტრაქტი აქვს კლუბთან.

„დაჩიას“ სხვა მეკარეც ჰყავდა შეგულებული, რომელიც თავისუფალი აგენტი გახლდათ. „დაჩიამაც“ გრიშიკაშვილში ფულის გადახდას და „დინამოსგან“ გამოსყიდვას, სხვისი უფასოდ აყვანა არჩია.

ილია ნანოგაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს მსურველებში გრანდებიც არიან
ხორვატიას საქართველოზე ფიქრით ვქომაგობდი

იტალიური „ემპოლი“ ხვალ ვარჯიშს იწყებს და ლევან მჭედლიძეც გუნდთან ერთად იქნება, გუშინ კი საქართველოს ნაკრების 18 წლის ფორვარდი მამამისის, კარლო მჭედლიძის ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში იყო და „სიონი“ — „ოლიმპიკის“ ტესტ-მატჩს უყურებდა. ჩვენც იქ ვესაუბრეთ. დარჩება ნიჭიერი თავდამსხმელი „ემპოლიში“? უფრო სწორად, გაუშვებენ? ეს ჯერ გადაწყვეტის სტადიაშია, ისე კი ლევანს მთხოვნელები საკმაოდ ჰყავს...

— ამაღამ მივფრინავ იტალიაში, ხვალიდან ვარჯიში გვეწყება. ჯერ ემპოლისთან ახლოს მდებარე ქალაქში მოვემზადებით, მერე არ ვიცი...

— ტრავმა ბოლომდე მოირჩინე და ალბათ, თამაშიც შეგიძლია...

— დიახ. სრული დატვირთვით შემიძლია ვარჯიშიც და თამაშიც. ტრენაჟორები ბურთი, სირბილი — თავდაუზოგავად ვვარჯიშობ.

— „ემპოლის“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — სერჯიო ბალდინი. იცნობ?

— ხვალ გავიცნობ, აქამდე ურთიერთობა არ მქონია.

— „ემპოლიდან“ წასვლა გინდა, მაგრამ იოლად არ შეგელევიან...

— მხოლოდ ის ვიცი, რომ ბევრი კლუბი აწარმოებს „ემპოლისთან“ მოლაპარაკებას. „ემპოლის“ არ უნდა ჩემი გაშვება. ვნახოთ, როგორ წავა საქმე.

— მსურველ გუნდთა შორის გრანდებიც არიან?

— დიახ. თან არა მარტო იტალიურები.

— ისე, „ემპოლიში“ უფრო არ გექნება სათამაშო პრაქტიკა? ეს გუნდი სერია B-ში დაქვეითდა და იმდენად დიდი კონკურენცია არ იქნება...

— კონკურენციაში რომ მაგრად დადგები, ეგ არის კარგი. „ემპოლიდან“ ჯერ არცერთი თავდამსხმელი არ წასულა, ასე რომ, იქაც კონკურენცია იქნება. ეგეც არ იყოს, არ ვუშინდები ძლიერ გუნდში გადასვლას — სადაც არ უნდა წავიდე, იმისთვის წავალ, რომ ვითამაშო. სკამისთვის არ მივდივარ.

— ევროპის ჩემპიონატზეც ვთქვათ: ვის გულშემატკივრობდი?

— ხორვატიას და ესპანეთს. ხორვატიას იმიტომ, რომ რაღაცნაირად სხვა სტილის გუნდია, ჯიგრიანი, მათი თამაში გამოირჩევა. თან ხორვატიის ისტორიასაც თუ გავითვალისწინებთ, საქართველოსას ჰგავს. ესპანეთი კი ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა, ფინალში ხომ მთლად უშანსოდ დატოვეს გერმანელები.

— ფეხბურთელებიდან ვინ მოგეწონა?

— დავიდ ვილია, ფერნანდო ტორესი, დავიდ სილვა — ეს სამეული ყველაზე მაგარი იყო. განსაკუთრებით, სილვა მომეწონა.

— საერთო აზრით, ძალიან კარგი ჩემპიონატი იყო. რას იტყვი, რა იყო განსაკუთრებული ამ ევროპაზე?

— ტემპი და შემოქმედებითი, შემტევი ფეხბურთი. დამღლელი სეზონის მერე ასე სწრაფად თამაში, თანაც, ყოველ მესამე დღეს...

ილია ნანოზაშვილი

ბელგიური რია-რია
გიორგი ადამიას ევროპა უნდა

ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპზე სტუმრად ბელგიურ „ბეერსხოტთან“ 1:1 დასრულებულ შეხვედრაში ბაქოს „ნეფთჩის“ ქართველმა თავდამსხმელმა გიორგი ადამიამ გოლით გამოიჩინა თავი. ქართველ თავდამსხმელს აზერბაიჯანული AZERISPORT-ი ესაუბრა...

— „ბეერსხოტი“ არცთუ ძლიერი გუნდი აღმოჩნდა?

— არა, რატომ?! პირიქით, ჩვენ ვითამაშეთ კარგად და დავამტკიცეთ, რომ „ნეფთჩისთან“ ხუმრობა არ შეიძლება.

— მიუხედავად იმისა, რომ მსაჯები აშკარად თქვენ წინააღმდეგ იყვნენ...

— ამ მატჩში მსაჯობა ცალკე საუბრის თემაა. ყველაზე მეტად კითხვები ჩვენს კარში დანიშნულმა პენალტმა დაბადა. დღემდე ვერ გავიგე, საიდან მოიგონა არბიტრმა თერთმეტმეტრიანი.

— და ბელგიელების მიერ გატანილი გოლი ჩასათვლელი იყო?

— იმ ეპიზოდში მოედნის ცენტრში ვიყავი და კარგად ვერ დავინახე, გადაკვეთა თუ არ ბურთმა კარის ხაზი.

— თქვენმა საპასუხო გოლმა კი „ბეერსხოტის“ მწვრთნელებისა და ფეხბურთელების პროტესტი გამოიწვია...

— სანამ ბურთი ხარიხიდან გარეთ გამოვარდებოდა, მანამდე კარს შიგნით დაეცა. ვიდეოფირის ნახვის შემდეგ ეს კარგად გამოჩნდა.

— ბელგიაში მატჩის ფრედ დასრულების შემდეგ, „ნეფთჩის“ მეორე ეტაპის გავლის შანსი გაიზარდა?

— იმასთან შედარებით, რაც პირველი მატჩის წინ იყო, ცხადია, გაიზარდა. თუმცა, წინასწარ რამის მტკიცება არ შეიძლება. ბაქოში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

— ინტერტოტოს თასის მიმდინარე გათამაშებაში „ნეფთჩის“ შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო ხართ. რომელიმე უცხოურ კლუბს თქვენ მიმართ ინტერესი ხომ არ გამოუჩენია?

— ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს.

— ევროპაში თამაშის სურვილი გაქვთ?

— თუ კონკრეტული წინადადება იქნება, განსახილველად მზად ვარ. საკუთარი ძალების ევროპაში მოსინჯვა ნამდვილად მსურს. თუმცა „ნეფთჩისთან“ კონტრაქტი მაქვს და ვალდებული ვარ, დღესდღეობით მხოლოდ ამ გუნდზე ვიფიქრო.

ალექსანდრე ამისულაშვილი: საუკეთესო და სიმბოლური

რუსულმა სპორტულმა ვებგვერდმა championat.ru-მ პრემიერლიგის მე-12 ტურის სიმბოლური ნაკრები შეადგინა და მასში ერთი ქართველი, ნალჩიკის „სპარტაკის“ მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი შეიყვანა.

ამისულაშვილმა ეს ტური მართლაც მძლავრად ჩაატარა — იაროსლავლის „შინიკთან“ საშინაო მატჩში (2:1) ჯერ დავით სირაძეს გაატანინა, მერე კი თავადაც იხეირა და ჟურნალისტების ქებაც დაიმსახურა.

პოპულარულმა „სპორტ-ექსპრესმა“ კი ალეკოს 6,5 ქულა დაუწერა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელა.

ბაჩა შალამბერიძე

ალექსანდრე ამისულაშვილმა (მარცხნივ) და დავით სირაძემ (მარჯვნივ) ერთმანეთს გაატანინეს

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	შ	ამკარი 0:1	90		3	0	5
დავით მუჯირი	ლოკომოტივი	შ	ამკარი 0:1	0	განაცხადში არ იყო	3	0	5
დავით კვირკველია	რუბინი	ს	კრილია 2:2	0	სარეზერვო გუნდშია	11	2	1
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	ს	კრილია 2:2	81	შეცვალეს	5	0	1
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	ს	კრილია 2:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	შ	შინიკი 2:1	19	შეცვლაზე შევიდა, შეცვალეს	8	0	7
ალექსანდრე ამისულაშვილი	ნალჩიკი	შ	შინიკი 2:1	90	1 გოლი, საგოლე პასი	11	1	7
დავით სირაძე	ნალჩიკი	შ	შინიკი 2:1	64	1 გოლი, საგ. პასი, შეცვალეს	10	1	7
ლევან გვაზავა	ლუჩ-ენერგია	შ	ხიმკი 1:1	90	გააფრთხილეს	8	1	15
რუსეთი. პირველი დივიზიონი								
გედევან დარასელია	ტორპედო	შ	სალიუტი 1:2	0		0	0	20
ვალერი აბრამიძე	ანჟი	ს	როსტოვი 1:2	90	გააფრთხილეს	19	1	3
გიორგი ნავალოვსკი	ანჟი	ს	როსტოვი 1:2	90		16	0	3
მიხეილ აშვეთია	ანჟი	ს	როსტოვი 1:2	90	1 გოლი	18	7	3
ზურაბ არზიანი	ანჟი	ს	როსტოვი 1:2	90		15	0	3
რევაზ ჯიქია	ანჟი	ს	როსტოვი 1:2	9	შეცვლაზე ითამაშა	11	2	3
გოჩა ხოჯავა	ანჟი	ს	როსტოვი 1:2	45	შეცვლაზე ითამაშა	18	1	3
რევაზ ბარაბაძე	ანჟი	ს	როსტოვი 1:2	0	სათადარიგო	7	0	3
პაატა ჯინჭარაძე	ბრიანსკი	შ	აკადემკლუბი 0:1	90		17	0	22
გია გრიგალავა	სკა	ს	ბალტიკა 1:0	90		5	0	8

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

რამონ კალდერონი



კრიშტიანუ რონალდუ და სერ ალექს ფერგიუსონი

კლაასიან ჰუნტელაარი იმ კლუბზე ოცნებობს, საიდანაც რონალდუ გაირბის

რა უხარია პოლიციელს?

გადარევა შეიძლება! მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა ახალი ძალები მოიკრიბა და განაცხადა, მე გაცილებით მეტი შანსი მაქვს შევიძინო კრიშტიანუ რონალდუ, ვიდრე „მანჩესტერ იუნაიტედს“ მისი შენარჩუნებისაო.

მადრიდელთა პრეზიდენტი კვირას ლონდონში გახლდათ, „უემბლდონზე“ რაფაელ ნადალისა და როჯერ ფედერერის ფინალით ტკბებოდა და თან ჟურნალისტებთან თავის საქმეებზე საუბრობდა.

საინტერესოა, რომ კალდერონს ჟურნალიტსებმა ასეთი კითხვა დაუსვეს: იმაზე, რომ კრიშტიანუ რონალდუ თქვენი ფეხბურთელი გახდება, კარგ ფსონს თუ ჩახვიდოდითო. კალდერონმა გაიცინა და უპასუხა:

„ჩავიდოდი. აშკარად ჩავიდოდი. ისე კი ყველაფერი საკუთრივ ფეხბურთელზეა დამოკიდებული. თუ მას „რეალში“ გადმოსვლა მართლა უნდა, ესე იგი გადმოვა. „მანჩესტერ იუნაიტედი “ აცხადებს, რომ რონალდუს გაყიდვა არ სურს და ის მართლაც არ გახლავთ კლუბი, რომელიც საუკეთესო მოთამაშეებს ასხვისებს. თუმცა, როდესაც მოთამაშეს წასვლა უნდა, მისი დაბმა ძალიან ძნელია. ეს ჭეშმარიტება ჩემს მოთამაშეებზეც ვრცელდება. როდესაც „რეალის“ რომელიმე ფეხბურთელი აიჩემებს, რომ სხვაგან სურს გადასვლა, ჩვენ მას ვუშვებთ“.

კალდერონი ლონდონში კვირას ჩაფრინდა და „ჰითროუს“ აეროპორტშივე ფანების ალყაში მოექცა. ყველას აინტერესებდა, რა გაგრძელება მოჰყვებოდა მის 70 მილიონ გირვანქიან წინადადებას რონალდუსთან დაკავშირებით.

„აეროპორტში ფეხი დავდგი თუ არა, ორი პოლიციელი მოვიდა. ერთმა მითხრა, მე „ლივერპულის“ ფანი ვარ და თუ შეიძლება ეგ რონალდუ ინგლისიდან მოგვაშორე, მისი წასვლის ამბავს თუ გავიგებ, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნებაო“.

გუშინ კი, შვეიცარიაში, კალდერონი „მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელ შეფს, დეივიდ გილს შეხვდა. საქმე ის არის, რომ როგორც „იუნაიტედი“ ასევე „რეალი“, იმ ას კლუბს შორის არიან, რომლებიც ევროპის კლუბთა ასოციაციას აყალიბებენ — ეს გახლავთ G14-ის ახალი და საკმაოდ მძლავრი ალტერნატივა.

მაგრამ, ბუნებრივია, როგორც „რეალის“, ასევე „მანჩესტერ იუნაიტედის“ სატრანსფერო აქტიურობა კრიშტიანუ რონალდუს ყიდვა-გაყიდვით არ შემოიფარგლება. მაგალითად, საკუთრივ ინგლისის ჩემპიონთაგან ჯერ კომენტარი არ ყოფილა, მაგრამ ჰოლანდიელი კლაას-იან ჰუნტელაარი, რომელიც, მოგეხსენებათ, „აიაქსში“ თამაშობს, აცხადებს, რომ მანჩესტერელები მისი შეძენით ძალიან არიან დაინტერესებული. ჰუნტელაარის შესაძლო ტრანსფერის შესახებ ეჭვს ისიც აღვივებს, რომ 24 წლის ფორვარდმა ამსტერდამელებთან ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ მოილაპარაკა.

ჰუნტელაარი: „მე ვიცი, რომ პრემიერლიგის კლუბები და მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედი“ ძალიან არიან ჩემი შეძენით დაინტერესებული. მე, ჩემი მხრივ, ვგიჟდები დიდი ისტორიის მქონე კლუბებზე, როგორებიცაა იგივე „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „აიაქსი“. მანჩესტერული კლუბი ჩემი ოცნების კლუბია, განსაკუთრებით მას მერე, რაც მის შემადგენლობაში რუუდ ვან ნისტელროიმ დიდი ამბები დაატრიალა“.

პაპუნა კედია

სავიოლა მგელსაც მოსწონს

მადრიდის „რეალი“ ხავიერ სავიოლას გაყიდვას აპირებს, რომელიც ძირითად შემადგენლობის ფეხბურთელად ვერა და ვერ იქცა და იშვიათად თუ გამოჩნდება მოედანზე.

არგენტინელი ფორვარდი „სამეფო კლუბმა“ 5 მილიონ ევროდ შეაფასა. სავიოლას შეძენა არაერთ გუნდს სურს და მათ შორისაა გერმანული „ვოლფსბურგიც“, რომელიც ამ ზაფხულს ორი იტალიელი მცველით გაძლიერდა.

„ბარსელონაში“ გატარებული ექვსი სეზონის შემდეგ არგენტინელი ფრანგული „მონაკოში“ და „სევილიაში“ იყო, შარშან კი „რეალმა“ წაიყვანა.

ვაჟა ხუციშვილი

აურზაური მუხლიდან

ევრო 2008-ის ფინალის შემდეგ მიხაელ ბალაკის და ოლივერ ბირჰოფის კამათს ბუნდესნაკრებში კიდევ ერთი სკანდალი მოჰყვა.

„ბეტისის“ ნახევარმცველი დავიდ ოდონკორი ჩემპიონატზე დაშავდა და მხოლოდ კლუბში დაბრუნების მერე გაირკვა, რომ მუხლის მყესები აქვს გაწყვეტილი.

ამ ტრავმის გამო იგი ნოემბრამდე ველარ ითამაშებს. საინტერესოა, როგორ ვერ დაუსვეს დიაგნოზი ბუნდესნაკრების ექიმებმა ფეხბურთელს, რომელიც მთელი ტურნირის განმავლობაში ტყუილად მოაცდინეს.

ჯერჯერობით უცნობია, მოითხოვს თუ არა „ბეტისი“ ფეხბურთელის საოპერაციოდ კომპენსაციას გერმანელებისგან.

ბრაზილიელი აგენტი მადრიდში

„პორტუს“ ბრაზილიელი ნახევარმცველი პაულუ ასუნსაუ მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა.

28 წლის ფეხბურთელმა ფიფას წესი გამოიყენა, თავისი კონტაქტი გამოისყიდა და თავისუფალი აგენტი გახდა.

„ატლეტიკოს“ პორტუგალიელ ლეგიონერ მანიშეს კი მომავალ სეზონში სხვა გუნდში თამაში მოუწევს, რადგან ტრანსფერზე დააყენეს. მადრიდულმა კლუბმა ასუნსაუმდე ტომაშ უიფალუში, ჯონი ჰეიტინგა, გრეგორი კუპე და ფლორენ სინამა პონიოლი დაიმატა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესილიას ხისფეხა ბიჭის თავგადასავალი

ყოვბოი

მომავალი „დიდი ფილი“ იტალიელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. სკოლარები ოდესღაც ბრაზილიაში ვენეტოს (ვენეციაშია) პროვინციიდან გადასახლდნენ.

2002 წელს სკოლარიმ იტალიური პასპორტი აიღო და წინაპრების სამშობლოც მოინახულა, სადაც მსოფლიოს ჩემპიონ მწვრთნელს უმალ „მიაკრეს“ ვენეტოს საპატიო მოქალაქის წოდება. ვენეციაში ახლაც ცხოვრობენ „დიდი ფილის“ შორეული ნათესავები, რომელთა ფესვები ბრაზილიის შტატს რიო-გრანდე-დუ-სულს მისწვდა.

რიო-გრანდე-დუ-სული ბრაზილიელი გაუშუების — მწყემსების ანუ კოვბოების — მთავარი შტატია. სკოლარის მშობლიური ქალაქი პასუ-ფუნდუ კი ლამის ყველაზე კოვბოურ ალაგად ითვლება. ამბობენ, რომ ამ ქალაქში, არა მარტო საზეიმო დღეებში, ყოველდღიურადაც შეიძლება შეხვდეთ ბიჭებს გაუშუს ტრადიციულ სამოსში.

ამის მერე რა საკვირველია, რომ ასეთ სამყაროში გაზრდილ სკოლარი კინოს ჟანრებიდან ვესტერნის ქომაგია და მისი საყვარელი ფილმია კლინტ ისტვუდის „ანფორგივენ“.

სკოლარების ოჯახი საკმაოდ მოკრძალებულად ცხოვრობდა და ჩვეულებრივი ბრაზილიური ოჯახისგან არაფრით გამოირჩეოდა.

მამა, ბენჟამინ სკოლარი მაღაზიის მეპატრონე იყო, სადაც უფროსობდა დედა სესილია, რადგან მამას არ ეცალა ვაჭრობისთვის — ბურთს დასდევდა და თავის შტატში 40-ანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო.

როცა ლუიშ ფელიპე სკოლარის ეკითხებიან, თუ რატომ იზრდებიან ბრაზილიის მიწაზე ასე უხვად „ვარსკვლავები“, ისეთს არაფერს პასუხობს, რაც მანამდე არ უთქვამთ: „ბრაზილიელ ბავშვებს ბედიერებისთვის მცირედიც ჰყოფნით — ფეხბურთის ბურთი. ესაა ყველასთვის ხელმისაწვდომი, რადგან შეიძლება ნაჭრისგან გააკეთო და ასეულობით ბავშვი გაერთოს. პირველი, რასაც აქაური მოზარდი სწავლობს, ბურთთან ურთიერთობაა. ევროპის არც ერთ ქვეყანაში ფეხბურთს ასე არ აღმერთებენ“.

თვითონ სკოლარის ფეხბურთელობისას ბრაზილიაში მწვერვალები არ დაუპყრია და მამის ჩრდილში დარჩა. „გენიოსების ბავშვების დაბადებისას ბუნების ძალები ისვენებენ“ — ამბობენ ბრაზილიელი გულშემატკივრები, მაგრამ სკოლარი რომ მებრძოლი იყო და „ხის ფეხი“ ჰქონდა, ყველა აღიარებდა.

მებრძოლი

პერნა დე პაუ — ანუ „ხის ფეხი“ გახდა ლუიშ ფელიპე სკოლარის პირველი მეტსახელი.

მისმა ერთ-ერთმა მწვრთნელმა კარლოს ფრონერმა გაიხსენა, რომ სკოლარი თანაგუნდელებში ავტორიტეტი იყო, მეტოქის ფორვარდებს კი მის დანახვაზე აკანკალებდათ. ბურთის ჯამბაზები მცველზე იტყოდნენ ხოლმე, ამას ვის გადავეყარეთო.

მისი ხისტი სათამაშო ყიდა სწორედაც რომ რიო-გრანდე-დუ-სულის საფეხბურთო კულტურისთვის ზედგამოჭრილი იყო.

რიო დე ჟანეიროს და სან პაულუსგან განსხვავებით სკოლარის შტატის ფეხბურთი უფრო არგენტინულს წაგავდა. აქ მოფინტავეებზე მეტად ჯაჯგურა ბიჭებს სცემდნენ პატივს, მაგრამ მაგალითად, რონალდინიოს მსგავსნიც იბადებოდნენ რიო-გრანდე-დუ-სულში, რადგან ეს ხომ ბრაზილიაა! ამიტომაც მწვრთნელი „დიდი ფილი“ თავის ფეხბურთელებს შემოქმედებაში არასოდეს ზღუდავს.

„ხშირად, მთავარი იპროვიზაციაა — ამბობს სკოლარი — სწორედ ეს ყოფს მოგებას წაგებისგან და ფიასკოს ტრიუმფისგან“.

ბრაზილიის და პორტუგალიის ნაკრებში მუდამ იყო და არის ადგილი შემოქმედებისთვის და შემოქმედი ფეხბურთელებისთვის. მაგრამ ამასთან ერთად, სკოლარი გულწრფელად და სხვებისგან განსხვავებით არა პირფერობით თვლის, რომ უეინ რუნი, სტივენ ჯერარდი და ფრენკ ლამპარდი ზეკლასის ფეხბურთელები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელებივით ვერ ფინტაობენ. ამ მოთამაშეებში თავმოყრილია ის, რასაც სკოლარი დიდად აფასებს.

პრინციპი — „საქმეს შოუმ ხელი არ უნდა შეუშალოს“ — სკოლარის ფილოსოფიაში ერთ-ერთი მთავრია. გუნდისგან პირველ რიგში ითხოვს ერთობას ანუ „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“. ეს ფეხბურთელობისასაც სისხლში ჰქონდა და ამიტომაც ეკეთა კაპიტნის სამკლავური თითქმის ყველა გუნდში, სადაც კი უთამაშია.

იგი მაშინვე იყო მწვრთნელი მოედანზე—კარნახობდა, ასწავლიდა და ლიდერობდა.

„დიდი ფილი“ სიტყვისთვის ჯიბეში არ იქექება. როცა მწვრთნელობა გადაწყვიტა, მასზე დიდი გავლენა მოახდინა ბრაიან კლაფამ („ნოტინგემს“ ორჯერ ჩემპიონთა თასი მოაგებინა). ბილ შენკლის („ლივერპულის“ მწვრთნელი 1959-1974 წლებში) სიტყვებით, კლაფი მანჩესტერულ წვიმაზე გაცილებით უარესი იყო, რომელიც ღმერთის წყალობით, ზოგჯერ მაინც გადაიღებდა. სწორედ „ნოტინგემის“ ლეგენდარული თავკაცი გახლდათ 70-იანი წლების მიწურულის მთავრი ფიგურა და სკოლარი დაწვრილებით სწავლობდა მის სამწვრთნელო მეთოდებს. მანერებსაც კი ითვისებდა და დღესაც... „ნოტინგემ ფორესტის“ ქომაგია. გუნდის წაგება სწყინს და იშვიათი გამარჯვებები დიდად ახარებს.

კლაფის გაკვეთილები ლუიშ ფელიპე სკოლარის ძალიან წაადგა საქმეში. კონკურენტებში მუჯლუგუნებით გაიარა, რადგან ბრაზილიაში ბევრი ფეხბურთელის გარდა ბევრი მწვრთნელიცაა. საბოლოოდ კი მიიღო ყველაზე უმადური საქმე მსოფლიოში — ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელის პოსტი.

ისევე, როგორც მის წინამორბედებს, სკოლარისაც დაუნდობლად ლანძღავდნენ, მაგრამ „დიდი ფილი“ მაგარი გამოდგა მოგერიებაში და თვით პელესაც არაფერი დაუთმო.

ერთხელ პელემ მასზე რაღაც თქვა და სკოლარიმ ხურდა უმალ დაუბრუნა: „და ვინ ამბობს ამას? უდიდესი მოთამაშე, რომელიც ფეხბურთის ბიბურში არაა. როგორც მწვრთნელი, პელე ნულია და მატჩის მისეული ანალიზი სასაცილოა. მოგება თუ გსურს, მოუსმინე პელეს და პირიქით გააკეთე“.

მკვლელი

პელესგან განსხვავებით, სკოლარის ფეხბურთელობისას განსაკუთრებული არაფერი მოუგია. მხოლოდ კარიერის ბოლო სეზონში გახდა ალაგოას შტატის ჩემპიონი. სწორედ იქ, „სენტრო სპორტივო ალაგოაში“ გადადგა პირველი ნაბიჯი მწვრთნელობისკენ.

მას შემდეგ მეგობრობს ფლავიო ტეიშეირასთან და „ჩელსისგან“ წინადადება რომ მიიღო, კონტრაქტში უმალ ჩააწერინა, რომ ტეიშეირამ მასთან ერთად უნდა იმუშაოს.

„დიდ მწვრთნელებს თანაშემწეები ქმნიან“ — ამის გამეორება ხშირად უყვარს ლუიშ ფელიპე სკოლარის.

ბრაიან კლაფის მსგავსად, დიდი ფილი ფეხბურთს, როგორც ბრძოლას, ისე უყურებს, ომში კი თავისიანების მიტოვება გამორიცხულია.

„ეს ომია და მე ვაპირებ მეტოქის მოკვლას, რათა თავად არ აღმოვჩნდე მოკლული“ — თქვა სკოლარიმ ევრო 2004-ზე ესპანეთთან მატჩის წინ. თავის ფეხბურთელებს არავის დააჩაგვრინებს, საკუთარ თავზე მიიღებს დარტყმას და მუშტის გაქნევაზეც არ იტყვის უარს.

მწვრთნელად გახდომის შემდეგ სკოლარი მალევე გახდა ბრაზილიელი დისციპლინარების ხშირი კლიენტი. ისე იქცეოდა მოედნის კიდესთან, რომ ლამის ყოველი მეორე მატჩის შემდეგ სჯიდნენ.

ტელეოპერატორებმა მალევე დაიჭირეს სკოლარის გინების კადრი და მას მერე, ერთი კამერა მუდმივად მწვრთნელს დარაჯობდა.

მწერალი თუ ტელეეუურნალისტებისთვის საპირველამბო კაცად იქცა. ერთხელ მსაჯს მიაძახა: „გარეთ გამოდი, იქ დაგელოდები!“, რადგან არბიტრმა კუთვნილი სკამიდან გააძევა.

მაგრამ „დიდი ფილი“ მხოლოდ მუქარით არ კმაყოფილდებოდა და ხელჩართულზეც გადასულა.

1995 წელს, ბრაზილიის თასის ნახევარფინალში, ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ყურით ათრია მეტოქის მწვრთნელი, რომელიც ვინმე კი არა, თვით ვანდერლეი ლუშემბურგო გახლდათ, ნაკრების მომავალი თავკაცი.

ყველაზე ცნობილი ამბავი კი შარმან სექტემბერში მოხდა პორტუგალია-სერბეთის შესარჩევი მატჩისას. მასპინძლებს ბოლო წუთზე გაუთანაბრეს და თამაშის დასრულებისთანავე, სკოლარი მოედანზე შევარდა. ივიცა დრაგუტინოვიჩისკენ ხელდახელ გაიწია, სერბმა კი გაშვერილ ხელში ჩაარტყა. ბრაზილიელმა მარცხნიდან მოუქნია და ფეხბურთელმა მუშტი აიცილა.

ასეთმა გამოხდომამ პროტუგალიელები ისე გააოგნა, მწვრთნელის მოხსნაზეც კი ალაპარაკდნენ.

საინტერსო კი ისაა, რომ ამ ჩხუბამდე ცოტა ხნით ადრე სკოლარიმ თქვა, დავდინჯდი და ამიერიდან სისულელეებს აღარ ჩავიდენო. მაგრამ რა დაადინჯებდა გაბრაზებულ მწვრთნელს, რომლის გუნდმაც კონკურენტებიდან (ფინეთი, პოლონეთი, სერბეთი) ერთსაც ვერ მოუგო?! თან სერბებმა გოლი თამაშგარედან გაიტანეს და უსამართლოდ დაჩაგრული ბიჭების გამო „დიდმა ფილმა“ ჯავრის ყრა დრაგუტინოვიჩზე მოინდომა.

გაგრძელება იქნება. ჟურნალი „ფუტბოლ“ უკრაინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე პირველი, მეორე მაურინიუ

პეტრ ჩეხი

გუშინ ლონდონის „ჩელსის“ ახალმა მწვრთნელმა, ბრაზილიელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ, რომელსაც ინგლისში თავისებურად, „ფილ სკოლარის“ ეძახიან, მუშაობა დაიწყო. და, როგორც ბრიტანული მედია იტყობინება, მან ფეხბურთელებს უთხრა ის, რაც დედამიწის ზურგზე ყველას შეაშინებდა: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საფეხბურთო სამყაროს ყველაზე დიდ კატორღაში. ყოველ შემთხვევაში, ლონდონელი „ლურჯების“ მეკარემ, პეტრ ჩეხმა სკოლარის გზავნილი ასე მიიღო.

და, ალბათ, ჩეხი მართალია, რადგან სკოლარის წინამორბედი, ავრაამ გრანტი თანამდებობიდან იმიტომ მოხსნეს, რომ გასულ სეზონში, ოთხი შეჯიბრებიდან სამში მეორე ადგილზე გავიდა... ბევრისთვის ეს წარმატება იქნებოდა, მაგრამ „სტემფორდ ბრიჯზე“ ასე არ თვლიან და ჩეხი მეკარის ვარაუდით, მდგომარეობის გამოსასწორებლად ზედგამოჭრილი მწვრთნელიც იშოვნეს. მეტიც, ჩეხი ამბობს, რომ დიდი ფილის გამოჩენა თვით ჟოზე მაურინიუს დაბრუნებას ჰგავს!

„ალბათ, ფეხბურთში ყველაზე მძიმე სამუშაო აქ იქნება, რადგან ჩვენგან ყველა მაქსიმუმს ელის. „ჩელსის“ მხოლოდ გამარჯვებები არ აკმაყოფილებს, აქ, ლამაზ გამარჯვებებს ელიან და საბოლოოდ ყველაფერი ტიტულების მოგებით უნდა დაგვირგვინდეს. ძალიან ძნელია, როდესაც ორ წელიწადში ექვს ჯილდოს იგებ და მოთხოვნაც ამის მიხედვით ყალიბდება. ამის გაძლება და დაკმაყოფილება იშვიათ ადამიანებს შეუძლიათ“.

მოგეხსენებათ, სკოლარის ევროპაში კლუბი არასდროს გაუწვრთნია, მაგრამ ბრაზილიელი სპეციალისტი ცნობილია, როგორც 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი პორტუგალიის ნაკრებთან ერთად.

„ჩელსიში“ თავისი პირველი ვარჯიში სკოლარიმ უპირატესად ინგლისელ ფეხბურთელებს ჩაუტარა, რადგან უცხოელთა დიდმა ნაწილმა ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა და, ბუნებრივია, დასვენება სჭირდებათ. მეკარე ჩეხიც ევროპის ჩემპიონატზე გამოდიოდა, მაგრამ ერთი სული აქვს, როდის შეხვდება თავის ახალ შეფს და როდის დაიწყებს მისი ხელმძღვანელობით მუშაობას.

„არ გვშორდება შეგრძნება, რომ ახალი ეპოქის დასაწყისთან ვდგავართ. მახსოვს, ზუსტად იგივეს ვგრძნობდით „ჩელსიში“ ჟოზე რომ მოვიდა. ერთი სიტყვით, მეორედ ვიწყებთ რაღაც განსაკუთრებულის მშენებლობას“.

შემდეგ კი ჩეხმა ასე განაგრძო:

„დიახ, ის დიდი ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაზე ვლაპარაკობთ. მერედა, მას ზეწოლის გაძლების დიდი გამოცდილება აქვს: სკოლარი ხომ ბრაზილიის ნაკრებს ედგა სათავეში და მსოფლიოს ჩემპიონატზე იმის ცოდნით წავიდა, რომ ჩემპიონობის გარდა ყველაფერს წარუმატებლობად ჩაუთვლიდნენ. ამაზე დიდი ზეწოლა რაღა გინდათ. ჰოდა, აი, ახლა კვლავ ასეთ გარემოში ხვდება. ახლა, ახალი თავგადასავალი იწყება“.

გარდა იმისა, რომ მაურინიუსა და სკოლარის საერთო მშობლიური ენა, პორტუგალიური აქვთ, ჩეხის აზრით ისინი ქარიზმითაც ძალიან გვანან ერთმანეთს. ეს გახლავთ სწორედ ის, რაც ასე აკლდა ავრაამ გრანტს.

ლუიშ ფელიპე სკოლარი „სტემფორდ ბრიჯს“ პირველად ამ გაზაფხულზე ეწვია, როდესაც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ შეხვედრაში „ჩელსი“ „ლივერპულს“ ხვდებოდა და მას, იმხანად პორტუგალიის ნაკრების თავკაცს, თავისი მოთამაშეების საქმეში ნახვა სურდა. მაშინ დიდ ფილს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

„მე მას სულ ერთი წამით ველაპარაკე, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რათა მეგრძნო, რომ ძლიერ პიროვნებასთან მქონდა საქმე. თამაშის მსვლელობისას ყოველ წამში იგრძნობა თუ რა უნდა მას, რადგან, სათადარიგოთა სკამიდან აშკარად მხოლოდ მაშინ დგება, როდესაც რაღაც კონკრეტული და საქმიანი აქვს სათქმელი. მისგან ფუჭი და დიდი ემოციების ფრქვევას ვერ ხედავ.

მერედა, ტექნიკური მონაცემების მიუხედავად, თვით ბრაზილიასა და პორტუგალიასაც კი არ უთამაშიათ მისი ხელმძღვანელობით გიჟური ფეხბურთი. იქაც და იქაც იგრძნობოდა, რომ გუნდები ნებისმიერი ბრძოლისთვის ფიზიკურადაც მზად იყვნენ. ტექტიკური თვალსაზრისით ამ გუნდებს ადაპტაციის საუცხოო უნარი რომ ჰქონდათ, ესეც კარგად გამოჩნდა. ახლახან, ევროპის ჩემპიონატზე, პორტუგალიის ნაკრები პირველ ტაიმს ერთი ტაქტიკით იწყებდა, მეორეში კი სულ სხვანაირად თამაშობდა. და კიდევ, მას ფეხბურთელებთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა აქვს“.

პაპუნა კ ე დ ი ა

ჩელსი უბრალოა

„ჩელსიმ“ განაცხადა, რომ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი სიმართლეს არ ამბობს, როდესაც აცხადებს, რომ „ლურჯები“ კაკაში ასტრონომიულ თანხას სთავაზობენ. მეტიც, ლონდონელებმა თქვეს, ამ ბრაზილიელი ფეხბურთელის თაობაზე არავისთვის არანაირი წინადადებით არ მიგვიმართავსო.

საქმე ის გახლავთ, რომ რაც „ლურჯების“ სათავეში ბრაზილიელი ლუიშ ფელიპე სკოლარი დაინიშნა, მისი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრების ყველა ფეხბურთელზე იძახიან, „ჩელსიში“ უნდა გადავიდესო.

საინტერესოა, რომ გალიანის ანდრეა პირლოს შესახებაც უთქვამს, ხმები, თითქოს მას კაკას ტოლი ხელფასი უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდიდან წასვლით იმუქრება, სიმართლეს არ შეესაბამებაო.

„პირლოს შეძენის მსურველი ბევრია, მაგრამ არც თავად ფეხბურთელი და არც მისი აგენტი ჩემთან არ მოსულან საღმე გადასვლის ან ხელფასის გაზრდის მოთხოვნით, თუმცა კაკას და პირლოს გაყიდვით ყველანაირ ფინანსურ საკითხებს მოვაგვარებდით“ — ბრძანა ვიცე-პრეზიდენტმა.


ადრიანო გალიანი

მიხაელ ბალაკი

თავისუფალი აგენტურა

მიხაელ ბალაკმა ქარაგმულად თქვა, შესაძლოა „ჩელსი“ ჩემი კარიერის ბოლო კლუბი სულაც არ იყოსო.

რატომ გაამახვილეს 31 წლის გერმანელის ამ ნათქვამზე ყურადღება? იმიტომ, რომ ადრე მას გაცხადებული ჰქონდა, ბუცებს ლურსმანზე „სტემფორდ ბრიჯზე“ ჩამოვკიდებო.

ახლა კი დრო იცვალა და გამთამაშებელი ლონდონელებთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას სულაც არ ჩქარობს. არადა, ბალაკისა და „ჩელსის“ ხელშეკრულებას მხოლოდ ერთი წლის ვადაღა დარჩა.

ბალაკი: „ჩემს კონტრაქტს ვადა 2009 წლამდე აქვს და მისი გაგრძელების პერსპექტივაც არსებობს, ასე რომ, საჩქარო არაფერია. ჯობს დავიცადო და ვნახო რა მოხდება“.

კლუბიდან გამოსულ ხმათა თანახმად კი ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ „ლურჯების“ ახალი თავკაცი, ფილ სკოლარი გერმანელს ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად აღარ ათამაშებს, ის ერთი წლის შემდეგ თავისუფალი აგენტის სტატუსით ქუდს დაიხურავს და სხვა გუნდში გადავა.

თავად ბალაკი ამას ასე აშკარად არ ადასტურებს და ამბობს, რომ გასულ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჩამორჩენის (როგორც ჩემპიონთა ასევე პრემიერლიგაში) გამოსწორებას აპირებს.

„ახალი ფეხბურთელები სულ რომ არ დაგვემატოს, „ჩელსის“ ისედაც ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. ამ ხალხს ნებისმიერი ჯილდოს მოგება შეუძლია — თქვა ბალაკმა — რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა ჩემპიონთა ლიგას ვგულისხმობ, რომლის მოსაგებადაც გადავედი თავის დროზე „ჩელსიში“. მე მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში და უძლიერეს ჩემპიონატში გამოვდივარ“.

პაპუნა კ ე დ ი ა

პოდოლსკი კიოლნში

მიუნხენის „ბაიერნის“ მცველს კრისტიან ლელს მიაჩნია, რომ თუ ლუკაშ პოდოლსკის სხვა გუნდში გადასვლა მოუნდება, ძალით ვერ გააჩერებენ.

გერმანიის ნაკრების ფორვარდი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და „კიოლნში“, ყოფილ გუნდში დაბრუნებას ლამობს.

„ბაიერნის“ შეფებმა და მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა ცოტა ხნის წინ თქვეს, რომ პოდოლსკი არ იყიდება, თუმც ლელი ამბობს: „ძალიან მეწყინება პოლდის წასვლა, რადგან ყველასთვის საყვარელი ადამიანია. თუ „კიოლნში“ თამაში სურს, ძნელი იქნება მისი გადარწმუნება და ძალით ვერავის შეინარჩუნებ“.

მოქეიფეები შეიწყალეს

პერუს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა კლაუდიო პიზაროს, ჯეფერსონ ფარფანს და სანტიაგო ასასიეტეს წელიწადნახევრიანი დისკვალიფიკაცია სამ თვემდე შეუმცირა.

სამივე ფეხბურთელი ნაკრებს დაუბრუნდება და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ითამაშებს. მეოთხე დამნაშავის ანდრეს მენდოსას სასჯელი კვლავ ძალაშია და ჯერ ნაკრების კარს არ გაუღებენ.

მარტში ეკვადორთან წაგების (1:5) შემდეგ ოთხეულმა სასტუმროში გემრიელად მოულხინა და დისკვალიფიკაციაც ამიტომ მოიმკეს. პიზაროს, ფარფარნს და ასასიეტეს 10-10 ათასი დოლარი გადაახდევინეს, მენდოსას კი—ორჯერ მეტი. ეს ფული ბავშვთა საავადმყოფოს გადაურიცხეს.

ვაჟა ხუციშვილი

60 ვადამდელს არ ეყო

ხუან ლაპორტამ პოსტი უმცირესობით შეინარჩუნა


ხუან ლაპორტა

„ბარსელონას“ პრეზიდენტის ხუან ლაპორტას საქმე ასეა: მან საკუთარი ადმინისტრაციის წევრების ნდობა დაკარგა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების დანიშვნას გადარჩა.

ერთი სიტყვით, კვირას კატალონიაში ფიცხელი საფეხბურთო რეფერენდუმი გაიმართა. „ბარსელონას“ კლუბის წევრის, ორიოლ გირალტის ანტილაპორტულმა მოძრაობამ და დღევანდელი ადმინისტრაციის კრიტიკამ 23 7870 მხარდამჭერი ჰპოვა, 14 871 ადამიანი კი ლაპორტას ამოუდგა მხარში. პროცენტულად, მოწინააღმდეგეებმა 60,60-ით 37,75 მოიგეს.

გირალტის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნამდე სულ ცოტა დააკლდა. წესდების თანახმად ამისათვის რეფერენდუმის მონაწილეთა 66 პროცენტის მხარდაჭერა იყო საჭირო.

„დირექტორატმა რეფერენდუმის შედეგები კარგად უნდა გააანალიზოს, რადგან ის მრავლისმეტყველია — განაცხადა გირალტმა კვირა საღამოს პრესკონფერენციაზე — ჩვენმა მოძრაობამ ამჯერად ვერ გაიმარჯვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენ მთელი რიგი შეცდომები დავუშვით. ახლა მათ გამოსწორებაზე და კლუბისთვის ასე საჭირო ინსტიტუციონალური სტაბილურობის დამკვიდრებაზე უნდა ვიზრუნოთ“.

გირალტის მოძრაობამ განსაკუთრებული ქულები მაშინ ჩაიწერა, როდესაც ლაპორტას ყოფილმა თანამებრძოლმა სანდრო როსელმა განაცხადა, რომ თუ მისი მოძრაობა გაიმარჯვებდა, ის კვლავ ფეხზე წამოდგებოდა.

შეგახსენებთ, რომ როსელი 2005 წლამდე ლაპორტას ვიცე-პრეზიდენტი იყო და „ბარსაში“ რონალდინიოსა და დეკუს მიყვანა სწორედ მის სახელს უკავშირდება.

მოგეხსენებათ, ხუან ლაპორტა ის პრეზიდენტია, რომლის ხელმძღვანელობითაც „ბარსამ“ 2005 და 2006 წლებში ესპანეთის ჩემპიონის ტიტული და 2006-ში ჩემპიონთა ლიგაც მოიგო, თუმცა ბოლო ორი წლის განმავლობაში გუნდს აღარაფერი მოუგია და ლაპორტა კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა.

ბოლო ორი წლის უშედეგობა „ბარსელონას“ ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მწვრთნელს, ფრანკ რაიკარდს გადააბრალა და მის მაგივრად თანამდებობაზე პეპ გვარდიოლა დანიშნა.

ამასთან ერთად, კატალონიელებმა ახალი მოთამაშეებიც იყიდეს, მაგალითად, ბრაზილიელი განაპირა მცველი დანიელ ალვეში, მალელი ნახევარმცველი სეიდუ კეიტა, ახალგაზრდული გუნდის ყოფილი აღსაზრდელი ხერარდ პიკე, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მოიყვანეს და ურუგვაელი ცენტრალური მცველი მარტინ კასერესი „უელვადან“.

გარდა ამისა, გვარდიოლამ მკაფიოდ განაცხადა, რომ რონალდინიო და სამუელ ეტოო მას აღარ სჭირდება.

პაპუნა ძედია

რომარიო, მურატა და სან მარინო

ვითომ ვერ შეელეგა რომარიო ბურთს?

რით შეიძლება გააოცოს სან მარინოს ჩემპიონმა „მურატამ“ საფეხბურთო სამყარო? ინებეთ: გუნდში რომარიოს ეპატიჟებიან, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე დაგვეხმარეო.

პატარა ქვეყნის ზედიზედ ორგზის პირველადგილოსანი კლუბის მეტოქე „გეტებორგია“ და შვედებთან გამკლავებას 42 წლის ბრაზილიელის ფეხით აპირებს, რომელმაც ბურთის დევნას თავი ოფიციალურად 15 აპრილს დაანება.

„იმის შანსი, რომ რომარიო ჩვენი გუნდის მაისურას მოირგებს, 70 პროცენტია“ — თქვა „მურატას“ სპორტულმა დირექტორმა დენის კასადეიმ.

ბრაზილიელმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში რამდენჯერმე დაასრულა კარიერა და მერე ისევ უბრუნდებოდა მოედანს. ამის გათვალისწინებით, გამორიცხული არაა, რომ ბურთმონატრებულმა სან მარინოს ჩემპიონის ფორმაში ამოყოს თავი.

„მურატა“ უბრალო გუნდი არაა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი ალდაირი ჰყავს. მან შარშანაც ითამაშა საკვალიფიკაციოში და ახლაც დაეხმარება სანმარინოელებს. მისი თანაგუნდელია 44 წლის იტალიელი მასიმო აგოსტინი, რომელმაც დაითანხმა ალდაირი კიდევ ერთხელ თამაშზე.

ამ ორს რომარიოც თუ დაემატება, მაგარი ტრიო გამოვა.

დენის კასადეი უფრო შორსაც წავიდა და თურმე „მურატაში“ მიხაელ შუმახერის მიყვანაც სდომებია. საჭეს მაინც აღარ უზის და ჩვენთან ბურთი რომ გააგოროს, რა მოხდებაო.

„შუმახერის დაყოლიება რთული იქნება — თქვა დირექტორმა — რომარიოს ვარიანტი კი რეალურია“.

ჟეფერსონი ფიორენტინაში

ფლორენციის „ფიორენტინამ“ დაადასტურა, რომ ბრაზილიური „პარანადან“ იმედისმომცემი ფეხბურთელი ჟეფერსონი დაიმატა. „იეგბმა“ 20 წლის ჟეფერსონთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. სავარაუდოდ, „ფიორენტინა“ მას გაანათხოვრებს, რათა პერსპექტიულმა ფეხბურთელმა სათამაშო პრაქტიკა მიიღოს. მისით სერია B-ს ბევრი კლუბი ყოფილა დაინტერესებული.

ჩიგარინი პარმაში რჩება?

ახალ ანდრეა პირლოდ წოდებულ ლუკა ჩიგარინის ბევრი კლუბი უტრიალებს და იტალიაში მასზე დიდ იმედებს ამყარებენ, მაგრამ 22 წლის ფეხბურთელმა განაცხადა, ჯერ არაფერი გადამწყვეტია, გამორიცხული არ არის, „პარმაში“ დავრჩე და კლუბს უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაში დავეხმაროო.

გავრცელებული ცნობით, ჩიგარინის ხელში ჩაგდების ყველაზე კარგი შანსი ახლა „ატალანტას“ აქვს, ბერგამოელები მისი კონტრაქტის ნახევრის ყიდვას აპირებენ. ნიჭიერ ნახვარმცველს „იუვენტუსიც“ უტრიალებს.

როსონერი ბერგესიოს უტრიალებს

„მილანი“ შესაძლოა პერსპექტიული არგენტინელი თავდამსხმელით გონსალო ბერგესიოთი გაძლიერდეს, რომელიც „სან ლორენსოში“ ირიცხება. გავრცელებული ინფორმაციით, „როსონერის“ ოფიციალური შეთავაზება ჯერ არ გაუკეთებია, მაგრამ მზად არის, 23 წლის ფეხბურთელისთვის 15-17 მილიონი ევრო დახარჯოსო.

ბრძოლა ალმირონისთვის

გენუის „სამპდორიას“ სერხიო ალმირონის დამატება სურს და ამისთვის „ფიორენტინას“ ეჰაექრება. „ემპოლის“ ყოფილი ნახევარმცველის იუვენტუსური კარიერა არ აეწყო და ტურინულ კლუბსაც მისი გასხვისება უნდა. ამბობენ, 27 წლის ფეხბურთელის ხელში ჩაგდების მეტი შანსი „სამპდორიას“ აქვს, რადგან გენუელები მის ყიდვაზე ფიქრობენ, ხოლო „ფიორენტინას“ ალმირონის თხოვება უნდა, „იუვეს“ კი პირველი ვარიანტი უფრო ხიბლავსო.

რუსი გერმანელი ჰოფენფაიმში

ბუნდესლიგის დებიუტანტმა „ჰოფენჰაიმმა“ „შტუტგარტიდან“ გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების მცველი ანდრეას ბეკი იყიდა.

21 წლის ფეხბურთელს ნაკრებში 16-ჯერ უთამაშია, „შტუტგარტში“ კი 2005 წლიდანაა და რეგიონალლიგასა თუ ბუნდესლიგაში 50 მატჩში ორი გოლიც გაიტანა.

ანდრეას ბეკი რუსეთში, ქალაქ კემეროვოშია დაბადებული. მის სანაცვლოდ „ჰოფენჰაიმმა“ 3 მილონ 200 ათასი ევრო გადაიხადა. ეს კლუბი ჯიბესქელი პატრონის პეტერ ჰოფმანის წყალობით შარშან მეორე ბუნდესლიგაში, წლეულს კი ელიტაში აძვრა.

ჩემი სიმამრი

მარკ ვან ბომელმა ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელად სიმამრი დაიგულა და ეროვნულ გუნდში დაბრუნებას აპირებს.

მარკო ვან ბასტენი ბერტ ვან მარვიიკმა შეცვალა, რომლის სიძეც გახლავთ „ბაიერნის“ ლეგიონერი ვან ბომელი.

31 წლის ნახევარმცველს ვან ბასტენთან ურთიერთობა წაუხდა და ნაკრებში არ ეძახდნენ, ახლა კი დაბრუნების შანსი გაუჩნდა.

„ყოველთვის ვამბობდი, რომ მარკო ვან ბასტენის წასვლისთანავე ეროვნული გუნდის მაისურას ისევ მოვირგებდი — თქვა ფეხბურთელმა — ახლა ნაკრებს ჩემი სიმამრი თავკაცობს და თუ დავჭირდები, მე მზად ვარ“.

ნიგერიელი თხა

მეორე ბუნდესლიგაში გავარდნილი „დუისბურგის“ ფორვარდმა მანასე იშიაკუმ თავს უშველა და პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნდა. 25 წლის ნიგერიელი კრისტოფ დაუმის „კიოლნის“ ფეხბურთელი გახდა.

„მოხარულები ვართ, რომ „დუისბურგმა“ იშიაკუს პრობლემები არ შეუქმნა და ტრანსფერზე დაგვთანხმდა. ნიგერიელმა წინა სეზონში კარგად ითამაშა და „კიოლნისთვის“ სასარგებლო ფეხბურთელი გახდება“—განაცხადა „თხების“ მეორე მწვრთნელმა მიხაელ მაიერმა.

ფორვარდმა კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გაფორმა.

ვაჟა ხუციშვილი

ბრაზილია

სერია A. IX ტური

ბოტაფოგო 2:0 გრემიო

გოიასი 1:0 ფლუმინენსე

სან პაულუ 1:1 იპატინგა

ჩილე

კლაუსურა. III ტური

ოსორნო 4:1 ატლეტიკო

ანტოფაგასტა 2:1 რეინჯერსი

კობრესალი 1:2 უნივ. დე ჩილე

კოლო კოლო 0:0 პალესტინო

ისლანდია

I დივიზიონი. X ტური

კეფლავიკი 1:0 ჰაფნარფიორდური

ტოტალიზატორი

1X2 ამფსონეზი

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ

—ფედერერი რო ხარ გვარად და როჯერი რო გქვია, რაფიკასთან როგორ უნდა წააგო, ტო! ცხვირსახოცივით დაუთოებულ-დაკეცილი ათასი ლარი ამომაცალა ჯიბიდან ამ... უნდა დაიჭიროს კაცმა და უიმბლდონის ბალახი აჭამოს.

—აბა შენა ხარ, რა! გინდა მაგის ჩოგანზე დაგიდია ფული, გინდა ლაფატკაზე.

—რატო, ტო! ორი სეტი ხო მოუგო...

—კაი, თუ ძმა ხარ. შვეიცარია? ევროპის ჩემპიონატზე არა ნახე რა იკადრეს?

კვირას აქ არ იყავი, რო ვამბობდი, მეთქი ფუტბოლში იყომარეს, ეხლა ფედერერი დაიგრუზება და ეგაც გატეხავს. კაროჩე, ყომარშიც ისეთი მაგრები არიან, როგორც საათების კეთებაში.

—მე უფრო რა პონტს ვაწვები, იცი? ეგ როჯერა ხო ხრეშზე...

—ხრეშზე კი არა თიხაზე.

—ჰო, თიხაზე ხო ნადალთან ბულკია და მაგრა მგონია რო წინა ღამეს ესპანელებმა იჩალიჩეს.

—რა იჩალიჩეს?

—მამენტ შეილება მომეჩვენა, მარა ტელევიზორში ისე ჩანდა, თითქოს ბალახში თიხა იყო გარეული... რაღაც ნიტო ფერი ჰქონდა

—ეგაც მოსულა, მარა მე სხვა ვარიანტს გეტყვი.

შვეიცარიამ თურქებთან ხო ტაიმბოლით წააგო და ფედერერმაც ეგ იყომარა.

ორი სეტი წააგო, მერე მოიგო და მაყუთები მაგის მოგებაზე შეიყარა და ტაიმბოლი დასვა.

უფრო მაგარს გაგიიასნებ. აბა დააკვირდი რეები ხდება, ევროპის ჩემპიონატი ესპანეთს მისცეს და უიმბლდონიც ესპანელს მოაგებინეს. კაროჩე ევროკავშირის მაფიაა.

—სტოპ! მაფიაზე გამახსენდა. რო გასუქებულხარ ტაიმბოლის კუშივით, ჩემი მაყუთი რო გმართებს?

—რა მაყუთი, ძმაო, ვინმემ პადნოჟკა ხო არ დაგიდო, უბერავ?

—რა მაყუთი და „ლივორნოს" ორიანი რო დამაწერინე „ატალანტასთან" უეჭველიაო, ტანკის გასაღებს მოგცემო, გახსოვს?

—მერე?

—ეხლა გატყდა ეგ საქმე და ჩაწყობილი ყოფილა. „ლივორნო" ზაკაზად დაუწვა თურმე, მე კიდე მაგ თამაშზე ასი ლარი წავაგე და შენგან უნდა მივიღო.

—შენა, ძმაო ბალახის და თიხის ფერი ვერ გაგირჩევია ერთმანეთისგან და ას ლარს მახევ? ათ ლარს მოგცემ თუ გინდა და ფერადი ფანქრები იყიდე.

ძუში ძოწმარია

ჩემი ბილეთი:
001 ზალცბურგი—მატერსბურგი
შედეგი: ბრაგაბრუგი
სავარაუდო მოგება: თავის ტკივილი

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ თუ ვინ
უყიდა ლუის ჰემილტონს ბოლიდისთვის
სარკეები ელიავას ბაზრობაზე

114140 *

ინტერი ლამპარდს უახლოვდება



იტალიური და ბრიტანული პრესის ცნობით, მილანის „ინტერმა" ლონდონის „ჩელსის" პირველი ოფიციალური წინადადებით მიმართა ფრენკ ლამპარდის შესახებ და ტრანსფერი შესაძლოა წუთიწუთზე განხორციელდეს.

გავრცელებული ინფორმაციით, „ნერაძური" „ვესტ ჰემის" ყოფილ ნახევარმცველში 6,5 მილიონ გირვანქას იხდის და რამდენად დააკმაყოფილებს „ჩელსის" ეს თანხა საკითხავია, მაგრამ ლონდონელები ბევრად მეტს ვერც მოითხოვენ, რადგან ლამპარდის საერთოდ უფასოდ დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგებიან.

ამბობენ, „ინტერმა" ლამპარდს სამწლიანი კონტრაქტი გაუმზადა და სეზონში 5 მილიონ გირვანქას გადაუხდისო. თუმცა პირადი კონტრაქტის დეტალები „ნერაძურის" ტრანსფერების შეფის მარკო ბრანკასა და ფეხბურთელის აგენტის სტივ კუტნერის შეხვედრის მერე დაზუსტდება.

პარალელურად, მილანელები „რომას" გარემარბის ამანტინო მანსინის ტრანსფერის გაჩარხვასთანაც ახლოს არიან. აპენინური ჟურნალ-გაზეთების ვერსიით, საქმე ამ მხრივაც წინ წავიდა. ბრაზილიელის აგენტი ჟილმარ ველოსი დღე დღეზე ჩავა იტალიაში და შესაძლოა მხარეები კვირის ბოლომდე შეთანხმდნენ.

ძოძი ძანდელაძი

ოპტიმისტი ლეონარდო

იტალიური „მილანის" ბრაზილიელმა ტექნიკურმა დირექტორმა ლეონარდომ თქვა, რომ კლუბს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს არსენალელი ემანუელ ადებაიორის ან ჩელსელი დიდიე დროგბას შეძენის იმედი. „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ რამდენჯერმე განაცხადა, მათ ძალიან ძვირად აფასებენ და უნდა დავივიწყოთო, მაგრამ ლეონარდო უფრო ოპტიმისტურადაა განწყობილი:

„კარგად იცით, რომ ძლიერი ცენტრფორვარდის შეძენა გვინდა და შესაფერისს კანდიდატს ვარჩევთ. დროგბა კარგი ფეხბურთელია, ადებაიორი კი ის მოთამაშეა, რომელიც მართლაც ძალიან მინდა „მილანში" ირიცხებოდეს. ჩვენ სათანადო დროს ველოდებით, რათა ნაბიჯი გადავდგათ. ფინანსური მდგომარეობა ჩვენთან უფრო ცუდი რომ არის, ვიდრე ინგლისსა და ესპანეთში, არახალია. ეს გრძელი და რთული თემაა. სამაგიეროდ, სხვა რამის შეთავაზება შეგვიძლია, გვაქვს დიდი, წარმატებული ისტორია, ჩინებული პერსპექტივა და საოცარი პირობები ფეხბურთელების განვითარებისთვის" — თქვა ლეონარდომ.

გიორგი ძაძაბაძე

ეს დაძაბული ორი წელი


ჯოვანი კობოლი ჯილი

ტურინის „იუვენტუსის" პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი პოსტზე თავის ორწლიან იუბილეს აღნიშნავს. მან კლუბი კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ, ურთულეს პერიოდში ჩაიბარა და მეტნაკლებად კარგად გაართვა თავი საქმეს.

„ეს იყო ორი ძალიან დაძაბული და დატვირთული წელი, რომელიც ემოციებს, სიხარულს, გაურკვევლობასა და შიშსაც მოიცავდა. ცხადია, დიდი პასუხისმგებლობაა და რთულია იმ კლუბის მართვა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და მილიონობით ფანი ჰყავს. ცუდი პერიოდი უკან მოვიტოვეთ და ახლა წინ ყურება შეგვიძლია. მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენ გენერალურ დირექტორ ჟან-კლოდ ბლანს, რომელმაც ძალიან რთულ პირობებში მიიღო მნიშვნელოვანი და სწორი გადაწყვეტილებები, როგორც ფინანსური თვალსაზრისით, ასევე მწვრთნელად კლაუდიო რანიერის მოყვანის ჩათვლით" — განაცხადა კობოლი ჯილიმ.

„ბებერი ქალბატონის" თავდამსხმელმა ვინჩენცო იაკვინტამ კი თქვა, არსად მივდივარ, ჭორებს ყურს ნუ დაუგდებთო. ექსუდინეზელის წასვლაზე ხშირად ლაპარაკობენ, მით უმეტეს, „იუვეში" ამაურის მისვლის შემდეგ.

„ამ მითქმა-მოთქმამ ჩემი წასვლის შესახებ ძალიან დამამწუხრა, მაგრამ ყურადღებას აღარ ვაქცევ. გასული სეზონი მშვენივრად ჩავატარე და კლუბი ჩემით კმაყოფილია, ამით კი ყველაფერი ნათქვამია. ჩემპიონთა ლიგას დავუბრუნდით და ბევრ ფრონტზე ერთად მოგვიწევს ბრძოლა, რაც დამატებით მოტივაციას გვაძლევს. ჩვენ გვყავს გასული სერია A-ს ორი საუკეთესო ბომბარდირი და ახლა ამაურიც დაგვემატა, ვინც კიდევ უფრო გაგვაძლიერებს" — თქვა იაკვინტამ.

მომავალი სეზონისთვის კბილებს ილესავს ტანჩია სებასტიან ჯოვინკოც, რომელიც წინა სეზონში „ემპოლიში" იყო განათხოვრებული და ჩინებულად გაისარჯა. ახალგაზრდა და ნიჭიერ ფეხბურთელს ახალ ჯანფრანკო ძოლას ეძახიან, რაც მას ძალიან სიამოვნებს.

სებასტიან ჯოვინკო: „იგივე პოზიციაზე ვთამაშობ და ძოლა ოლიმპიადაზე ჩემი ერთ-ერთი მწვრთნელი იქნება, რაც ძალიან მახარებს, მისი რჩევები ჩემთვის ფასდაუდებელია. თანაც კლაუდიო რანიერიმ ძოლას გაზრდაში დიდი როლი ითამაშა 1991 წელს „ნაპოლიში" ყოფნისას და რატომ არ შეიძლება იგივე ჩემთან გააკეთოს? „ემპოლიში" გატარებული სეზონი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, ბავშვი აღარ ვარ, დიდი გამოცდილება მივიღე და არაფრის მეშინია. ოლიმპიადაზე თამაშის გამო, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრებს გამოვტოვებ, მაგრამ ამ ჩემთვის უმნიშვნელოვანეს ტურნირს ჯგუფურ ეტაპზე შევუერთდები. ერთი სული მაქვს, ეს მოხდეს და მჯერა, ასეც იქნება. ბევრი ამბობს, რომ ძალიან დაბალი ვარ, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მაგალითად, პეკინში ლეო მესიც ითამაშებს, რომელიც ასევე არ არის მაღალი, მაგრამ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია".

დაბოლოს, დეიან სტანკოვიჩის ტრანსფერის შესახებ „იუვენტუსი" „ინტერის" პასუხს ელოდება. ყოველ შემთხვევაში ფეხბურთელის აგენტის ვინიჩიო ფიორანელის თქმით, ტურინელთა ფანების პროტესტი არაფერ შუაშია, უბრალოდ მილანელებმა უნდა მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება, სურთ თუ არა სერბი ნახევარმცველის გაშვებაო.

გიორგი ძაძაბაძე

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		8 ივლისი						
21:30	44	შტურმი-რაპიდი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
		9 ივლისი						
21:30	45	აუსტრია-აუსტრია კერნტენი	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
21:30	46	რიდი-ალტახი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
21:30	47	ზალცბურგი-მატერსბურგი	1.30	4.30	8.20	1.00	1.12	2.82
21:30	48	კაფენბერგი-ლინცერი	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი						
		პრემიერლიგა						
		9 ივლისი						
16:00	30	ზენიტი-ნალჩიკი	1.30	4.30	10.00	1.00	1.15	3.00
19:00	31	სატურნი-მოსკოვი	2.60	2.70	2.85	1.32	1.35	1.38
		ნორვეგია. თასი						
		9 ივლისი						
20:00	127	ჰიოდი-ალესუნდი	4.50	3.90	1.65	2.08	1.20	1.15

			1	2
		ჩოგბურთი კაცები ბაშტადი		
		8 ივლისი		
13:00	2001	გიკველი-ო როხუსი	1.45	2.40
13:00	2009	მ გრანოლერსი-ბიორკმანი	1.20	4.00
13:00	2017	დარსისი-კოელერერი	1.25	3.20
13:00	2025	ტ იოჰანსონი-პრპიჩი	1.25	3.40
13:00	2033	მოია-სტარაჩე	1.60	2.10
13:00	2041	მონფილსი-რიდერსტედტი	1.04	7.50
13:00	2049	საფინი-მ ლოპესი	1.30	3.00
13:00	2057	სოდერლინგი-ფოგნინი	1.15	5.00
		ჩოგბურთი კაცები შტუტგარტი		
		8 ივლისი		
13:00	3001	ბერლოკი-შუკინი	1.60	2.00
13:00	3009	ბოლელი-ზვერევი	1.30	3.10
13:00	3017	დ გრემერმაიერი-დაბული	1.35	2.90
13:00	3025	კალერი-მელზერი	1.50	2.20
13:00	3033	როსოლი-ფიშერი	1.60	2.10
13:00	3041	შვანკი-კორია	1.30	3.20

			1	2
		ჩოგბურთი ქალები ბუდაპეშტი		
		8 ივლისი		
12:00	4001	ბენეშოვა-არნი	1.40	2.60
12:00	4009	ზაკოპალოვა-კოენ ალორო	1.60	2.10
12:00	4017	კირსტეა-კვიტოვა	1.65	2.10
12:00	4025	ლაპუშენკოვა-მაროსი	1.20	4.20
12:00	4033	პარმანტიე-შპრემი	1.80	1.80
12:00	4041	რიბარიკოვა-კუტუზოვა	1.35	2.70
		ჩოგბურთი ქალები პალერმო		
		8 ივლისი		
12:00	5001	ბიჩკოვა-ო სანჩესი	1.40	2.50
12:00	5009	გარბინი-ფედაკი	1.30	2.90
12:00	5017	დომინგეს ლინო-ო ბრაიანი	1.25	3.40
12:00	5025	კორიტცევა-ვორაკოვა	1.45	2.40
12:00	5033	ლუა-ვოსკობოევა	1.50	2.30
12:00	5041	მედინა გარიგესი-კუდრიავცევა	1.15	3.90
12:00	5049	რეზაი-დე ლოს რიოსი	1.25	3.20

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10044	შტურმი-რაპიდი	3.00	2.00	3.00	1.20	1.50	1.20
10045	აუსტრია-აუსტრია კერნტენი	1.90	2.10	5.80	1.00	1.43	1.54
10046	რიდი-ალტახი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10047	ზალცბურგი-მატერსბურგი	1.60	2.30	7.50	1.00	1.31	1.76
10048	კაფენბერგი-ლინცერი	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10127	ჰიოდი-ალესუნდი	4.90	2.10	2.10	1.47	1.47	1.04

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11044	შტურმი-რაპიდი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11045	აუსტრია-აუსტრია კერნტენი	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11046	რიდი-ალტახი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11047	ზალცბურგი-მატერსბურგი	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11048	კაფენბერგი-ლინცერი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11127	ჰიოდი-ალესუნდი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12044	შტურმი-რაპიდი 2,5	1.60	2.00
12030	ზენიტი-ნალჩიკი 2,5	2.00	1.60
12031	სატურნი-მოსკოვი 2,5	1.60	2.00
12045	აუსტრია-აუსტრია კერნტენი 2,5	1.90	1.70
12046	რიდი-ალტახი 2,5	1.70	1.90
12047	ზალცბურგი-მატერსბურგი 2,5	2.00	1.60
12048	კაფენბერგი-ლინცერი 2,5	1.90	1.70
12127	ჰიოდი-ალესუნდი 2,5	2.20	1.50

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი.	არა.
13044	შტურმი-რაპიდი	1.70	1.90
13030	ზენიტი-ნალჩიკი	1.90	1.60
13031	სატურნი-მოსკოვი	1.70	1.90
13045	აუსტრია-აუსტრია კერნტენი	1.90	1.60
13046	რიდი-ალტახი	1.70	1.90
13047	ზალცბურგი-მატერსბურგი	1.95	1.55
13048	კაფენბერგი-ლინცერი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი წაგებულად ჩაითვლება)

14044	შტურმი-რაპიდი	1.85	1.95
14045	აუსტრია-აუსტრია კერნტენი	1.30	2.50
14046	რიდი-ალტახი	1.65	2.30
14047	ზალცბურგი-მატერსბურგი	1.08	2.90
14048	კაფენბერგი-ლინცერი	1.95	1.85
14127	ჰიოდი-ალესუნდი	2.40	1.45

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15044	შტურმი-რაპიდი	3.00	2.80	2.00
15045	აუსტრია-აუსტრია კერნტენი	3.00	2.80	2.00
15046	რიდი-ალტახი	3.00	2.80	2.00
15047	ზალცბურგი-მატერსბურგი	3.00	2.80	2.00
15048	კაფენბერგი-ლინცერი	3.00	2.80	2.00
15127	ჰიოდი-ალესუნდი	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირითადი დრო)

16044	შტურმი-რაპიდი	1.80	1.85
16045	აუსტრია-აუსტრია კერნტენი	1.14	4.70
16046	რიდი-ალტახი	1.32	3.00
16047	ზალცბურგი-მატერსბურგი	1.08	5.00
16048	კაფენბერგი-ლინცერი	1.82	1.82
16127	ჰიოდი-ალესუნდი	3.00	1.30

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17044	შტურმი-რაპიდი	1.85	1.95
17045	აუსტრია-აუსტრია კერნტენი	1.85	1.95
17046	რიდი-ალტახი	1.85	1.95
17047	ზალცბურგი-მატერსბურგი	1.85	1.95
17048	კაფენბერგი-ლინცერი	1.85	1.95
17127	ჰიოდი-ალესუნდი	1.85	1.95

შესაძლო ცვლილებები დაიზუსტეთ ადგილზე

იქნება, შედეგი მოთხოვნის მიხედვით?

ოპტიმიზმი უკან გადადგმული ნაბიჯის ფონზე

ბადრი ჯითლაძის ფოტო

თვალის დახამხაბებაში გაირბინა ოთხმა წელიწადმა და რიგით XXIX ზაფხულის ოლიმპიური თამაშებიც კარს მოგვადგა. 8 აგვისტოს ჩინეთის დედაქალაქ პეკინში საზეიმოდ გაიხსნება ოთხწლეულის ყველაზე გრანდიოზული სპორტული ფორუმი, რომელშიც მსოფლიოს ორ ასეულზე მეტი ქვეყნის სპორტსმენებს შორის ქართველი ათლეტებიც იქნებიან. პეკინში, ათენის მსგავსად, ოლიმპიურ სოფელში ჩვენი გუნდის მისიის ხელმძღვანელი სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ლერი ხაბელოვი იქნება. მაშინ როდესაც ოლიმპიადის დაწყებამდე ბევრი დრო აღარ გვაშორებს, ვფიქრობთ, ლერი ხაბელოვთან ინტერვიუ მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს

— ოლიმპიურ სოფელში მისიის ხელმძღვანელობა ძალზედ საპატიო და ამავე დროს საპასუხისმგებლო მოვალეობაა. ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალიც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. განსაკუთრებით ოლიმპიურ სოფელში, სადაც უამრავი სამუშაოა შესასრულებელი, ვიდრე სპორტსმენი არენაზე გამოვა. ფარდის მიღმა კი ეს შავი საქმე არ ჩანს. ამ მხრივ წინა თამაშებზე ათენში საკმაო გამოცდილება შეიძინე და ვფიქრობ, სეოკ-ის და სპორტის სხვა მუშაკთა პროფესიონალურ გუნდთან ერთად ამ ამოცანას პეკინშიც კარგად გავართმევთ თავს.

— ოლიმპიურ სოფელში ჩვენი გუნდის შემადგენლობაზე რას იტყვით?

— აქედანვე ვიტყვი, რომ სოფელში საქმიანი ატმოსფერო უნდა სუფევდეს. ათასი ყური და თვალი იქნება საჭირო, რათა სულ მცირე საკითხიც არ გამოგვეპაროს. ასე რომ იქ გასართობად არავის ეცლება.

ოლიმპიურ სოფელში საქართველოს დელეგაციის რაოდენობა 60 კაცამდე იქნება, სადაც სპორტსმენებისა და მწვრთნელების გარდა შედიან ადმინისტრაციის წევრები, სამედიცინო პერსონალი და ეროვნულ ფედერაციათა ხელმძღვანელები.

ყველას მაქსიმალური მობილიზება გვმართებს, რათა ოლიმპიადის მსვლელობისას სოფელში ყველაფერმა ექსცესების თუ გაუგებრობების გარეშე და რაც მთავარია, წარმატებულად ჩაიაროს.

— თამაშებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მზადებასთან დაკავშირებით რას იტყვით?

— ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია და ყველა ნიუანსს ფაქიზი მიდგომა სჭირდება. უდიდესი სიფრთხილე გვმართებს, რათა ამ მხრივ რაიმე პრობლემები არ შეიქმნას და ჩვენმა სპორტსმენებმაც მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნონ თავი.

სეოკ-ი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტთან ერთად კოორდინირებულად მუშაობს და ამ ეტაპზე ყველაფერი გეგმაზომიერად მიმდინარეობს.

საქართველოს დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში რამდენიმე ნაკადად გაემგზავრება და ჩვენი გუნდის ოფიციალური გადამყვანი საქართველოსა და უკრაინის ეროვნული ავიახაზები იქნებიან, თბილისში კი 25 აგვისტოს ჩარტერული რეისით დავბრუნდებით.

აქვე აღვნიშნავ, რომ ქართულ დელეგაციას სპორტული ფორმით საქვეყნოდ ცნობილი იაპონური ფირმა „მიზუნო“ შემოსავს, ხოლო ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიალებისთვის საჭირო ციერულ აღკაზმულობაზე ავთანდილ ცქვიტინიძის სამოდელო სახლი იზრუნებს.

რადგან ორგანიზაციულ საკითხებზე ვსაუბრობთ, დავამატებდი, რომ პეკინში აუცილებლად იქნება „ქართული სახლი“. წინა თამაშების გამოცდილებიდან ვიცით, თუ რაოდენ სასურველია ოლიმპიადაზე წარმოდგენილი იყოს შენი ქვეყანა, მისი კულტურა, ისტორია, სპორტული აწმყო და წარსული.

— მოდით, წმინდა სპორტულ საკითხებზე გადავიდეთ. პეკინის ოლიმპიადა თითქმის კარს მოგვადგა, ქართველ სპორტსმენთა აქტივში კი 32 ლიცენზიაა...

— რა თქმა უნდა ამ მხრივ უკმაყოფილების გრძნობა გვაქვს. პეკინში 40-მდე ათლეტით ასპარეზობას ვგეგმავდით, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი იმედები არ გამართლდა. ჩვენი პროგნოზები ბოლო წლების გამოცდილებას, სპორტსმენთა მიერ დიდ საერთაშორისო ტურნირებში ნაჩვენებ შედეგებს და თავად ამა თუ იმ სახეობების მწვრთნელთა ვარაუდებს ემყარებოდა. ამის მიხედვით გამოვიყვანეთ მაღალი, საშუალო და დაბალი ალბათობის შკალაც. ჯერ კიდევ არის მცირედი შანსები, რომ მძლეოსნობაში დავით ილარიანმა შეასრულოს საგზურის მოსაპოვებლად აუცილებელი ნორმატივი და პლაჟის ფრენბურთში გოგონებმაც მოიპოვონ ლიცენზია, მაგრამ თუ პეკინში იმაზე ნაკლები სპორტსმენით წარვდგებით, ვიდრე ეს სიდნეისა და ათენში იყო, მაშინ სამწუხაროდ, ამ მხრივ უკან გადადგმული ნაბიჯი გამოგვივა.

ლიცენზიათა მოპოვების თვალსაზრისით გადამწყვეტი 2007 წელი იყო და მხოლოდ ძიუდოისტებმა შეძლეს შვიდივე წონით კატეგორიაში საგზურების მოპოვება. ბუნებრივია, უფრო მეტს ველოდით ჭიდაობის სახეობებისგან.

მოკლედ, ამ ეტაპზე საპეკინოდ სპორტის 12 სახეობაში 32 ლიცენზია გვაქვს მოპოვებული და იმედს გამოვთქვამ, რომ ყველა სპორტსმენი თავის საუკეთესო თვისებებს წარმოაჩენს.

— სათამაშო სახეობებზეც მინდა გკითხოთ. თუ პლაჟის ფრენბურთს არ ჩავთვლით, ბურთიან სახეობებში არც პეკინში ვიქნებით წარმოდგენილნი...

— დიახ, სამწუხაროდ ოლიმპიურ თამაშებზე დღემდე ვერ ვახერხებთ გუნდურ სათამაშო სახეობებში გამოსვლას. აქ „გაქართველებულ“ ბრაზილიელ ფრენბურთელებს არ ვგულისხმობ, რომლებიც პეკინში ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ. ატლანტის თამაშების მერე იყო საუბარი, რომ საამისოდ გაორმაგებული ყურადღება კალათბურთზე, წყალბურთსა და ფეხბურთზე მიგვეპყრო. ამ მიმართულებით თავის დროზე გადაიდგა კიდევაც ქმედითი ნაბიჯები ოლიმპიური ფონდის მხრიდან, მაგრამ დადებით შედეგს მაინც ვერ მივაღწიეთ.

სამწუხაროდ, ეს ჩვენი აქილევსის ქუსლია. კარგად გვესმის, რომ სათამაშო სახეობებში ოლიმპიადაზე მოხვედრა ურთულესი საქმეა, მაგრამ არა შეუძლებელი. ყინული საპეკინოდ არ გალღვა, იქ მიმავალმა მატარებელმაც ჩაიარა და იმედებიც ალონდონედ უნდა გადავდოთ, თუმცა კვლავ მხოლოდ იმედად თუ დავრჩით, ის მატარებელიც უჩვენოდ წავა.

— როგორ მიმდინარეობს სპორტსმენთა მზადება ამ მეტად მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებისათვის?

— თავდაპირველად კიდევ ერთხელ აღვნიშნავ სეოკ-ის წინა პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის და მის მიერ დაარსებული ოლიმპიური ფონდის ფასდაუდებელ წვლილს ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის საკეთილდღეოდ, ასევე „პეკინი-2008“-ის ოთწლიან ციკლში.

მზადება ჩვეულებრივ რიტმში მიმდინარეობს. ვერ ვიტყვი, რომ რაიმე სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი შეინიშნებოდეს. სეოკ-ში განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ თამაშებისათვის მზადებისა და მასში მონაწილეობის ხარჯებს სახელმწიფო იღებს. სპორტსმენები ემზადებიან ფედერაციების მიერ წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, საწვრთნელი შეკრებებიც ყოველგვარი შეფერხებების გარეშე ტარდება.

— და ბოლოს, თქვენი აზრით, რა შედეგებს უნდა ველოდოთ პეკინში?

— მთელი ოლიმპიური ციკლის პერიოდში ჩვენი გუნდის წევრებს და მათ მწვრთნელებს შექმნილი ჰქონდათ მაქსიმალურად კომფორტული პირობები. ამიტომაც პეკინში ღირსეულად უნდა იქნას რეალიზებული ქართველი სპორტსმენების ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალი. ჩემი აზრით, ოლიმპიადაზე ნაჩვენები შედეგები სრულად უნდა შეესაბამებოდეს სპორტის ქართველ გულშემატკივართა მოთხოვნებს, იმ ყურადღებასა და მზრუნველობას, რომელსაც სპორტული და ოლიმპიური სტრუქტურები იჩენდნენ მათ მიმართ.

პროგნოზების გაკეთება მიჭირს, რადგან სპორტში ხშირად ხდება სიურპრიზები. ზოგადად ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად გვაქვს და ვფიქრობ, ჩინეთიდან თავაწეულები დავბრუნდებით.

ძახა ბერიძე

ჯიპი და ადრენალინი

2 წელია, რაც საქართველოში „ოფროადერების“ კლუბი დაარსდა და „ჯიპებით“ გაუვალ გზებზე, წინასწარ დაგეგმილ თუ დაუგეგმავ მარშრუტებზე გასვლებს აწყობს და შეჯიბრებებსაც ატარებს. იდეა ექსტრემალური გართობის მოყვარულ რამდენიმე ადამიანს გაუჩნდა და კლუბიც დაარსა. მარშრუტი სპეციალურად ისეა შედგენილი, რომ რელიეფმა მძღოლს მოძრაობა გაურთულოს. ის კი არა, შეჯიბრების ორგანიზატორები მარშრუტს შეგნებულად აზიანებენ, ვთქვათ, მდინარის პატარა ტოტს გზისკენ მიუშვებენ...

მთელი „მუღამიც“ ისაა, რომ მძღოლმა რაც შეიძლება რთული გზა განვლოს, მთლიანად მანქანაზე გააკეთოს კონცენტრაცია და სხვა არაფერზე არ იფიქროს. კლუბის წევრები თითქმის ყოველ შაბათ-კვირას დადიან უძნელეს გზებზე და შეჯიბრებებიც ტარდება. მაგალითად, გაზაფხულზე გაიმართა „ჭილი 2008“, სადაც ცალკე კლუბის წევრები მონაწილეობდნენ, ცალკე — მოყვარულები, რომელთაც ჯერ სათანადო გამოცდილება არ აქვთ. მარშრუტი მუხათგვერდზე გადიოდა. გუშინწინ კი „თბილისი 2008“ ჩატარდა, სადაც პირველობა არავის დაუთმო გიორგი ჭეიშვილმა („პაჯერო“) (იგი „ჭილი 2008“-ის მეორეადგილოსანია; პირველზე კი დავით სოსელია გავიდა). საშეჯიბრო ტრასა დიდ დიღომში იყო.

ვისაც ექსტრემალური სპორტი იზიდავს და ადრენალინიც მოსძალებია, შეუძლია, „ოფროადერების“ კლუბის წევრებს დაუკავშირდეს ვებგვერდის, **WWW.OFF-ROAD.GE**-ს საშუალებით და მათ მიჰბაძოს. ოღონდ სურვილის და „ჯიპის“ ტიპის მანტანის ყოლასთან ერთად შესაბამისი გამოცდილებაც საჭიროა. თავიდანვე კლუბის წევრებისთვის განკუთვნილ მარშრუტზე ვერ გაივლით, ჯერ მოყვარულის სტატუსით დაკმაყოფილება მოგიწევთ...

ლექსო მაისურაძე

თბილისი-2008-ის გამარჯვებული გიორგი ჭეიშვილის „პაჯერო“

ენერჯის ევროჩელენჯი

დავით უსტიაშვილი: ლეგიონერებამდე ქართველებს ვნახავთ



ჯაფარ ალიევი/ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ევროტურნირების კენჭისყრა გაიმართება და რუსთავის „ენერჯი-ინვესტის“ მეტოქის ვინაობაც გაირკვევა. წლეულს კვლავ შეუცვალეს იმ ტურნირს სახელი, რომელშიც ქვემოქართლელები შარშანაც მონაწილეობდნენ — ევროთასის ნაცვლად ევროჩელენჯი დაარქვეს. თუმც ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან პრინციპი იგივე დარჩა. ანუ განუთესავ გუნდებს ისევ 2 საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა მოუწევთ ჯგუფურ ტურნირში მოსახვედრად. „ენერჯი-ინვესტი“, რა თქმა უნდა, განუთესავია და იმ 32 გუნდს შორისაა, რომლებსაც ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად ორი ბარიერის დაძლევა მართებთ.

რუსთაველებმა გუნდის კეთება უკვე დაიწყეს და პირველი სერიოზული ტრანსფერიც განახორციელეს — „ავიამშენიდან“ გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე კოტე ტუღუში შეიმატეს. დავით უსტიაშვილის გუნდი ლეგიონერების ჩამოყვანასაც აპირებს, თუმც ევროსეზონის დაწყებამდე კარგა ხანია და რუსთაველებიც არ ჩქარობენ

— შემადგენლობაში ვინ გვეყოლება, ჯერ არ ვიცით, თუმც კარგი მოთამაშეები რომ იქნებიან, ამის თქმა ნამდვილად შემიძლია — გვითხრა *დავით უსტიაშვილმა* გუშინ, კენჭისყრასთან დაკავშირებით რომ შევეხმიანეთ...

— კოტე ტუღუში ხომ შეიმატეთ უკვე?

— მხოლოდ კოტეზე შემიძლია, ვთქვა, რომ მომავალ სეზონს ჩვენთან გაატარებს. დანარჩენი მოთამაშეების ვინაობა ჯერ უცნობია. არსად გვეჩქარება, ჩამოვყალიბდებით, თუ რომელ პოზიციაზე რომელი კალათბურთელი გვჭირდება და მოლაპარაკებებსაც მერელა წამოვიწყებთ.

— გავიგეთ, რომ დავით უგრეხელიძის შემატებაც გსურთ. კიდევ რომელ ქართველ მოთამაშეს უმიზნებთ?

— უგრეხელიძეზე უარს როგორ ვიტყვით. ის შარშანწინ თამაშობდა ჩვენთან და დიდად დაგვეხმარა ჩემპიონობის მოპოვებაში. უგრეხელიძემ გასული სეზონი ბოსნიაში გაატარა და, როგორც ვიცი, შემოთავაზებაც აქვს. ვნახოთ, რა იქნება. თუ უცხოურ გუნდს არ შეუთანხმდა, დიდი სიამოვნებით ავიყვანთ გუნდში. იმავეს ვიტყვი ვიქტორ სანიკიძეზე, რომელიც ძალიან ძლიერი მოთამაშეა და უცხოურ კლუბში გადასვლას ეცდება.

— ევროტურნირზე თამაშობთ და ულეგიონერებოდ ეს საქმე არ გამოვა...

— ვვარაუდობთ, რომ 2-3 ლეგიონერი ჩამოვიყვანოთ, მაგრამ ჯერ არ ვიცით, ვინ. შარშან რომ დროში ვიყავით შეზღუდულები და ამ სიჩქარეში უხეირო ცენტრი, ანვარ ფეერგიუსონი შეგვრჩა ხელთ, ისე აღარ მოხდება. ჯერ ვნახოთ, ქართველები რომელ პოზიციებს დაიკავებენ ხუთეულში და იმის მიხედვით განვსაზღვრავთ, რომელ რგოლში გვენდომება გაძლიერება.

— იოვან სტეფანოვი ისევ თქვენთან იქნება?

— სტეფანოვი ახლა ევროპაშია და ცდილობს, რომელიმე კარგი ლიგის გუნდი მოძებნოს. ეს არცაა გასაკვირი, მას უკეთეს ლიგაში სურს თამაში. თუ ვერ იპოვის სასურველ გუნდს, ჩვენთან იქნება.

— ხვალ ევროჩელენჯის კენჭისყრაა და რომელ გუნდს ისურვებდით მეტოქედ?

— ძნელია, ასე ამორჩევით თქვა, რადგან ყველა გუნდი სერიოზული მეტოქე იქნება ჩვენთვის. რა თქმა უნდა, ჯობს, რუმინული გუნდი შეგვხვდეს, ვიდრე ფრანგული, ან რუსული, თუმც ჩვენ არც რუმინულ კლუბებს ვიცნობთ. ევროჩელენჯში მონაწილე ყველა გუნდს, ძლიერი დაფინანსება და შესაბამისად კონკურენტუნარიანი შემადგენლობა ჰყავს. მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია: ძალიან კარგია, რომ ქართული კლუბი ევროტურნირზე თამაშობს, თანაც ზედიზედ მეორედ. ჩემთვის ორმაგად სასიამოვნოა, რომ ეს გუნდი „ენერჯი-ინვესტია“ და ვეცდებით, კლუბის ხელმძღვანელობას გაწეული მუშაობის შედეგი დავანახოთ.

ირაკლი პერტაია

ენერჯი-ინვესტის სავარაუდო მეტოქეები ევროჩელენჯის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე

ლიეჟი (ბელგია), შიროკი (ბოსნია), ბორაცი (ბოსნია), სპარტაკი (ბულგარეთი), ზაგრები (ხორვატია), ცედევიტა (ხორვატია), აელ (კვიპროსი), აპოელი (კვიპროსი), პროშტეიოვი (ჩეხეთი), ბაკენი (დანია), სვენდბორგი (დანია), ტულონი (საფრანგეთი), ვიში (საფრანგეთი), ამაკი (მაკედონია), ოლდენბურგი (გერმანია), სკაილაინერსი (გერმანია), კიორმენდი (უნგრეთი), ეიფელ თაუერსი (ჰოლანდია), მობიტელი (რუმინეთი), ასოფტი (რუმინეთი), სიბიუ (რუმინეთი), სამარა (რუსეთი), სპარტაკი (რუსეთი), ზლატოგორი (სლოვენია), ბანვიტი (თურქეთი), ანთალია (თურქეთი), პოლიტექნიკა (უკრაინა), სუმიხიმპრომი (უკრაინა), ნიკოლაევი (უკრაინა), ჩერკასკი (უკრაინა), დონეცკი (უკრაინა)

ველოსიპედი

95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი

ბრეტანი ფრანგებმა მოიგეს



რომენ ფელუ

„კრედიტ აგრიკოლის“ ნორვეგიელმა ლიდერმა ტორ ჰუსჰოვდმა აურეიდან სენტ ბრიმდე 164,5 კილომეტრზე გაჭიმული ეტაპი მოიგო და „ტურ დე ფრანსის“ გზებზე კარიერაში მეექვსე გამარჯვება მოიპოვა.

95-ე „ტურის“ მეორე ეტაპი ახალი დაწყებული იყო, როდესაც ფრანგები, ტომას ვოკლერი და სილვენ შავანელი გაექცნენ პელოტონს. შემდეგ ამ დუეტს კიდევ ორი ფრანგი, „აგრიტუბელის“ ლიდერი კრისტოფ მორო და მისი თანაგუნდელი, ბრეტანის მკვიდრი დავიდ ლელეი შეუერთდა და ამ ოთხეულმა გვარიან უპირატესობასაც მიაღწია, მაგრამ ბოლოსკენ ქარავანი მაინც დაეწია გაქცეულებს. სენტ ბრის ქუჩებში კი „კრედიტ აგრიკოლის“ ხალხმა დიდებულად იმუშავა, ჰუსჰოვდს მშვენიერი პლაცდარმი შეუქმნა და ნორვეგიელმაც ფინიშამდე 200 მეტრით ადრე რომ შეუბერა, ახლოს აღარავინ გაიკარა.

საშინლად წვალობს შარშანდელი „ტურის“ საუკეთესო სამთო მრბოლი ხუან მაურისიო სოლერი. „ბარლვორლდის“ კოლუმბიელი ლიდერი პირველი ეტაპის დასრულებამდე 9 კილომეტრით ადრე დაშავდა და ძლივს მივიდა ფინიშთან. მეორე ეტაპზეც ასე იყო — სოლერმა წვალებით, ჰუსჰოვდთან მთელი შვიდწუთიანი ჩამორჩენით უწია ფინიშს და ორი ეტაპის შემდეგ ლიდერთან, ესპანელ ალეხანდრო ვალვერდესთან, უკვე 10 წუთზე მეტს აგებდა.

გუშინ კი „ტურზე“ ლიდერი შეიცვალა. ბოლო, მესამე ბრეტანული ეტაპის დასაწყისშივე ოთხი მრბოლი — პაოლო ლონგო ბორჯინი, რომენ ფელუ, სამუელ დიუმოლინი, უილიამ ფრიჩკორნი — პელოტონს მოწყდა და ამ კვარტეტმა 200 კილომეტრზე მეტი უალრესად სინქრონულად იმუშავა. ერთ მომენტში მათმა უპირატესობამ 14 წუთს უწია და პელოტონის მთელი მცდელობა, დასწეოდა გაქცეულებს, ამაო გამოდგა.

ეტაპი „კოფიდისის“ ფრანგმა მრბოლმა დიუმოლინმა მოიგო, ლიდერის ყვითელი მაისურა კი მეორე ფრანგს, „აგრიტუბელის“ ფელუს დარჩა. ძველი ლიდერი, ალეხანდრო ვალვერდე მეოთხეა და ახალს წუთითა და 45 წამით ჩამორჩება. თუმც ამას, ალბათ დიდი მნიშვნელობა არცა აქვს. დღეს შოლეში 29,5 კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლაა და ვალვერდე და სხვა ფავორიტები იქ იტყვიან თავიანთ სათქმელს.

III ეტაპი. სენტ მელო — ნანტი. 208 კმ.

1. სამუელ დიმუოლინი (საფრანგეთი, „კოფიდისი“)	5სთ 25წთ 27წმ
2. ვილიამ ფრიჩკორნი (აშშ, „სლიპსტრიმი“)	იგივე დრო
3. რომენ ფელუ (საფრანგეთი, „აგრიტუბელი“)	იგივე დრო
4. პაოლო ლონგო ბორჯინი (იტალია, „ბარლვორლდი“)	+14წმ
5. რობი მაკივენი (ავსტრალია, „ლოტო“)	+2.03

საერთო ჩათვლა

1. რომენ ფელუ (საფრანგეთი, „აგრიტუბელი“)	13სთ 27წთ 05წმ
2. პაოლო ლონგო ბორჯინი (იტალია, „ბარლვორლდი“)	+35წმ
3. უილიამ ფრიჩკორნი (აშშ, „სლიპსტრიმი“)	+1.42
4. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი“)	+1.45
5. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „კოლუმბია“)	+1.46

კრივი

ხურციძე კობრას მოეარია

ავთანდილ ხურციძემ ოდესაში გამართულ ორთაბრძოლაში მსოფლიო საკრივო ასოციაციის (WBA) ვერსიით, საშუალო წონით (72,6 კგ) კატეგორიაში ინტერკონტინენტური ჩემპიონის ვაკანტური ქამარი მოიგო. ქართველმა მოკრივემ არგენტინელი ხავიერ ალებრტო მამანის დამარცხებას თორმეტივე რაუნდი მოანდომა, მაგრამ ჩვენებურის უპირატესობა სრულიად აშკარა იყო. ხურციძემ „კობრად“ წოდებულ მეტოქეს არაერთხელ მძიმედ მოარტყა. ავთანდილს დროზე ადრეც შეეძლო შეხვედრის დამთავრება, მაგრამ ბოლოს მოეშვა და ერთ-ერთ მსაჯს ფრის დაფიქსირების საბაბი მისცა. საბოლოოდ მსაჯთა გადაწყვეტილებით, ხურციძემ 12-დან 11 რაუნდში გაიმარჯვა — 118:111, 115:115, 118:110.

გეტყვით იმასაც, რომ ოდესაში გამართული ბრძოლები ძმები კლიჩკოებისა და ვადიმ ბუხალკოვის ორგანიზაციის (k2 EAST PROMOTIONS) მოწყობილი გახლდათ. ხურციძის წარდგენას კი ვლადიმირ კლიჩკოც ესწრებოდა.

•

უკრაინაში სხვა ქართველ პროფესიონალთა ბრძოლებიც გაიმართა. ნახევრად საშუალო წონაში დავით ტლაშაძემ უკრაინელ ვალერი ბრაჟნიკთან მესამე რაუნდში ნოკაუტით წაადგო, მძიმეწონოსანმა ვლადიმერ ჭანტურიამ კი პაატა ბერიკაშვილს მე-6 რაუნდში აწვნია ნოკაუტი.

ზურაბ მიგრიაული



ოლიმპიური დედა

41 წლის დარა ტორესმა ამერიკის რეკორდი დაამყარა

კვირას ნებრასკას შტატის ქალაქ ომაჰაში დასრულდა ამერიკის ჩემპიონატი ცურვაში, რომელიც იმავდროულად ოლიმპიური გუნდის შესარჩევი ტურნირიც გახლდათ. ძირითადად ყველა ფავორიტმა მოიპოვა პეკინის საგზური, სხვებს იმედი გაუცრუვდათ, ზოგიერთმა კი ტანზე ღვარად ჩამომდინარი წვეთებთან ერთად აუზიდან ცრემლებიც ამოიტანა. შვიდ დღეში დამყარდა 9 მსოფლიო რეკორდი...

ყველა საუბრობს მაიკლ ფელპსზე, ვინაც 5 ინდივიდუალური სახეობა მოიგო (ზედ ორი რეკორდიც დააყოლა) და პეკინში ხუთივეში გეგმავს ოქროს. მსოფლიოს უცნობილესი მოცურავე ამათთან ერთად თუ 3 ესტაფეტაშიც იმარჯვებს, რვა ოქროს მოიგებს და ლეგენდარულ თანამემამულეს, 1972 წელს მიუნხენში 7 ოქროს მომგებ მარკ სპიცს რეკორდს ჩამოართმევს. მთელი ამერიკა და თავად სპიციც კი აქებებს 23 წლის ფელპსს.

მაგრამ ახლა სხვაზე გვინდა გესაუბროთ, მოცურავეზე, რომელმაც ფელპსის დაბადებამდე ორი წლით ადრე მოიგო პირველი ოლიმპიური მედალი და ახლაც საუკეთესოა.

დარა ტორესს თამამად შეიძლება ლეგენდარული ეწოდოს, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ აქტიური სპორტსმენია. საქმეც სწორედ ამაშია — ტორესი 41 წლის გახლავთ, ორი წლის შვილი ჰყავს და ცურვისთვის ორჯერ აქვს თავი დანებებული, მაგრამ წლების შესვენებების შემდეგ ისევ გადაშვებულა აუზში და ახლაც იქაა. 17 წლის იყო, 1984 წელს ლოს ანჯელესში თვის პირველ ოლიმპიურ სარბიელზე რომ გავიდა, მერე იცურავა 1988 წელს სეულში, 1992-ში იყო ბარსელონაშიც და 1994-ში 27 წლისა, ანუ ცურვისთვის ვეტერანის ასაკში გამოემშვიდობა აქტიურ სპორტს. ალბათ სხეულს მოდუნება შეატყო და ამოვიდა აუზიდან...

მაგრამ რა გინდა სახლში, როცა გული არა ბერდება? დარა ტორესმაც ორიოდ წელში ისევ განაახლა ვარჯიში და იმდენი ქნა, რომ 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე გავიდა და ამერიკელ გოგონებს ორი ესტაფეტის მოგებაში დაეხმარა. უკვე 33 წლის გახლდათ და რაღა დარჩენოდა სპორტში? ისევ წავიდა, გათხოვდა და ორი წლის წინ შვილიც ეყოლა. ყველა მისი ნაცნობი იძახის, კარგი მეოჯახე და დედა არისო, მაგრამ სპორტსმენიც არანაკლები ყოფილა და ეს კიდევ ერთი დაბრუნებით დაამტკიცა. თანაც მან შტატების ჩემპიონატში ჯან-ღონით აღსავსე გოგონებს ორი ფინალი მოუგო და პეკინში 41 წლისა გავა სტარტზე. ეგეც შენი ხუთი ოლიმპიადა! მართლაც უნიკალური შედეგია ცურვაში. თანაც, წარმოიდგინეთ, 1996 წლის ატლანტის და 2004 წლის ათენის ოლიმპიადები რომ არ გამოეტოვა!..

გასაოგნებელი ისაა, დარა ტორესი ამ სიბერეშიც არ კმაყოფილდება საუკუნოვანი ოლიმპიური დევიზით, რომ „მთავარია მონაწილეობა". ის უკვე გმირია და უნიკალურია იმის გამო, რომ პეკინში გახდება ყველაზე მხცოვანი მოცურავე ქალი ოლიმპიადების ისტორიაში, მაგრამ მაშინ, როდესაც მის ასაკში ყველა მონაწილეობითაც დაკმაყოფილდებოდა, სულით გამარჯვებული ტორესი პირველობისკენ შინაგანი ლტოლვის ოქროს მედლებად გარდასახვას ეცდება.

50 და 100 მეტრი თავისუფალი სტილით. ეს სახეობები უპრესტიჟულესად ითვლება, ხოლო მათი მომგები წყალში უსწრაფესი ადამიანის სახელს იგდებს. ტორესი კი ამ მაღალ ტიტულთან სულ ახლოს დგას. სადღეისოდ მსოფლიოს უსწრაფეს მოცურავე ქალს, ავსტრალიელ ლიბი ლენტონ-ტრიკეტს იქნებ ვერ აჯობოს პეკინის ოლიმპიადაზე, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ შვილისტოლა მეტოქეს იქ დიდ შეჯიბრს გაუმართავს. შტატების ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს 50 მეტრი რომ მოიგო, ტორესმა ამერიკის რეკორდიც კი დაამყარა — 24,25 წამი. ოდესღაც, თავის ოქროს წლებში ის მსოფლიოს რეკორდსმენიც გახლდათ და ახლა უკეთესი დროც კი აჩვენა.

ქალი ისეთი მოხუცია, რომ თვალთაც კი დააკლდა — 50 მეტრის ფინალის ფინიშზე სასტარტო ბაქანს ხელი რომ ჩაავლო და სათვალეახსნილმა ტაბლოს შეხედა, ვერც კი გაარჩია, იქ რა ციფრები ეწერა. უცებ გაუდიდეს და შედეგში აშშ-ს რეკორდი რომ ამოიცნო, მერეღა მიხვდა, რაც მოხდა.

„რომ ვთქვა არ გამჭირვებია მეთქი, დამიჯერებთ? — ხუმრობით ეკითხებოდა ჯურნალისტებს — მართლა ძალიან დავიღალე, ბოლო მეტრებზე თითქმის სასოწარკვეთილი ვეძებდი თითებით კედელს. ხვალ დილით ვიქნები „კარგ ფორმაში", როცა გახევებული კუნთები ლოგინს მიმაკრავს."

ამგვარად, დარა ტორესი პეკინში 50 და 100 მეტრ თავისუფალ სტილში ეცდება თავისი ოლიმპიური კოლექციის გამდიდრებას. „გამარჯვების პირობას ვერ ვიძლევი, იქნებ ამ შედეგის გამეორებაც გამიჭირდეს. ლიბი დღეს საუკეთესოა და თავისივე რეკორდებს ებრძვის. მაგრამ მე მთელი ძალით ვეცდები ისე, როგორც ყოველთვის და პატივით მივიღებ ნებისმიერი ფერის მედალს."

ქალიც ასეთი უნდა!

დარა ტორესს არც ის შეუქმნის უხერხულობას, რომ თანაგუნდელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ის დედად ერგება. ის ნამდვილი პროფესიონალია და როცა მათ ომაჰაში ამარცხებდა, მაშინაც ხომ არ უგრძვნია დისკომფორტი. მაგრამ „დედის" სტატუსსზე მაინც უჭირს დათანხმება.

„მიუხედავად იმისა, რომ მე რამდენიმე ჩემი თანაგუნდელის დედაზე უფროსი ვარ, მაინც მირჩევნია, რომ მათთვის უფრო უფროსი დაიკო ვიყო, ვიდრე დედა."

ვანო კოტიკაშვილი

ქართველებმა შანსი დაიტოვეს

გუშინ იტალიის ქალაქ ვენეციაში საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა სტუდენტური მსოფლიოს ჩემპიონატზე C ჯგუფში თავისი მეორე თამაში გამართა აზერბაიჯანის ნაკრებთან და 33:30 მოიგო.

შეგახსენებთ, რომ ჩვენებმა წინა დღით 22:31 წააგეს ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ სერბეთთან და ახლა გადამწყვეტი დაპირისპირება იაპონელებთან მოუწევთ, რადგან ამ თამაშში უნდა გაირკვეს, შეძლებენ თუ არა ქართველები მეოთხედფინალში გასვლას.

ლეჭსო მაისურაძე

ერთი ოქრო, ზედაც ვერცხლი

სარაევოში ჭაბუკთა შორის გამართული ევროპის ჩემპიონატზე გიორგი მერმანიშვილმა (81 კგ) ყველა ორთაბრძოლა დამაჯერებლად ჩაამთავრა, ფინალში რუს კაზბეკ გაზგირეევს იპონით მოუგო და ევროპის ჩემპიონი გახდა. სათქმელია, რომ ჩვენებურს კინკილა ქულაც ვერავინ აართვა, როცა თავად მეტოქეები სულ იპონ-იპონ დაამარცხა.

გარდა ოქროსი, საქართველოს ნაკრებმა მანამდე ერთი ვერცხლიც აიღო — 50 კგ წონაში მეორე ადგილი შმაგი ლაგაზაურმა დაიკავა. მე-5 ადგილზე გავიდნენ გოჩა ვარძელაშვილი (55 კგ) და ლევან რუაძე (73 კგ), მე-9 ადგილზე კი უშანგი კოკაური (+90 კგ). ათეულში მოხვედრა ვერ მოახერხეს ირაკლი ლომიძემ (60 კგ), სოსო ნადირაშვილმა (66 კგ) და დავით მერაბიშვილმა (90 კგ).

ლეჭსო მაისურაძე

დორტმუნდის სუპერტურნირი. 28 ივნისი-6 ივლისი

VII ტური

პეტერ ლეკო (უნგრეთი)	0,5:0,5	არკადი ნაიდიჩი (გერმანია)
ვასილ ივანჩუკი (უკრაინა)	1:0	ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი)
იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი)	0,5:0,5	იან გუსტაფსონი (გერმანია)
ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)	0:1	შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)

ლეკოს მესამე დორტმუნდი

თავშენახული უთავოდ დარჩა

უნგრელმა პეტერ ლეკომ დორტმუნდის სუპერტურნირი მესამედ მოიგო. 7 შესაძლებლობიდან მან 4,5 ქულა აიღო და მდევრებს ნახევარი ქულით აჯობა.

„ბედნიერი ვარ, დორტმუნდი მესამედ რომ მოვიგე — განაცხადა ლეკომ — პირველივე ტურიდან ვგრძნობდი, რომ ეს შეჯიბრი წარმატებას მომიტანდა. მეორე ტურში ივანჩუკს რომ ვძლიე, გავაცნობიერე, რომ კარგ ფორმაში ვარ და ენერგია მომემატა".

უნგრელი თითქმის მთელი ტურნირის მანძილზე მოწინავეთა შორის იყო, თუმც ერთპიროვნული ლიდერობა ბოლოსწინა ტურში მოიპოვა, როცა თანალიდერ გერმანელ იან გუსტაფსონს შავი ფიგურებით მოუგო და მეორეზე ჩაბრძანა.

ბოლო ტურში ლეკოს ყაიმიც ჰყოფნიდა, ამიტომაც ნაიდიჩთან დაცვითი თამაში არჩია და 31-ე სვლაზე სასურველ შედეგსაც გამორჩა.

ყაიმით დასრულდა ორი იანის შეხლაც. ნეპომნიაშჩიმ და გუსტაფსონმა ესპანური პარტია გაითამაშეს და ზავი 22-ე სვლაზე გამოაცხადეს.

რაც შეეხება ტურნირის ცხრაგზის გამარჯვებულ ვლადიმირ კრამნიკს, მან შეჯიბრი საშინლად ჩაატარა და სამარცხვინო ბოლოსწინა ადგილს დასჯერდა. შედეგის მიუხედავად რუსმა იხტიბარი არ გაიტეხა და განაცხადა, შემოდგომაზე დიდი ბრძოლები მელის და თავი შევინახეო.

ლაზა გეგეჭკორი

საბოლოო მდგომარეობა

1. პეტერ ლეკო	4,5
2. ვასილ ივანჩუკი	4
3. იან ნეპომნიაშჩი	4
4. შაჰრიარ მამედიაროვი	4
5. იან გუსტაფსონი	4
6. არკადი ნაიდიჩი	3,5
7. ვლადიმირ კრამნიკი	3
8. ლუკ ვან ველი	1

მატჩი, რომელიც შენთან დარჩება

უიმბლდონს ახალი ბატონი ჰყავს



რაფელ ნადალი

„თაობის საუკეთესო მატჩი“, „მატჩი, რომელიც ათწლეულები ემახსოვრებათ“, „შეხვედრა, რომელმაც ჩოგბურთის ყველა სილამაზე გამოამზეურა“ — ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია იმ ეპითეტებისა, რომლებითაც რაფაელ ნადალისა და როჯერ ფედერერის უიმბლდონური ფინალი შეამკეს. ვინც ეს მატჩი ნახა, ადამიანი არ გვეგულება, რომ შეფასებებს გულით არ შეურთდეს. ნადალმა და ფედერერმა კვირას ნამდვილი საჩუქარი მიუძღვნეს ჩოგბურთის ყველა გულშემატკივარს და დაუვიწყარი სანახაობა დადგეს

როჯერ ფედერერი

კვირას კორტზე ორი ტიტანი იდგა ერთმანეთის პირისპირ, რომლებმაც სრულიად გამოავლინეს ყველა ის თვისება, რაც ნამდვილ ჩემპიონებს უნდა ახასიათებდეს — რკინისებური ნებისყოფა, გამარჯვებისკენ თავდაუზოგავი ლტოლვა და საუკეთესო თამაშის ჩვენების უნარი ზეწოლის, ურთულეს მდგომარეობაში ყოფნისას. გუშინწინ კორტზე ორი ლომი იდგა, რომლებიც თითქმის ხუთი საათის განმავლობაში გოჯსაც არ თმობდნენ და თავდაუზოგავი ბრძოლა იყო ყოველი სეტისთვის, ყოველი გეიმისთვის, ყოველი გათამაშებისთვის, ამ გათამაშებებში ინიციატივის მოპოვებისთვის. და ყველაფერი ეს უიმბლდონურ პირობებში, ანუ წვიმის აკომპანიმენტის თანხლებით, რამაც შეხვედრას დამატებითი პეწი და ხიბლი შესძინა და რამაც დიდწილად განაპირობა კიდეც ამ შეხვედრის სიდიადე. ამიტომაც სადღაც ალბათ გულიც გვწყდება, რომ უიმბლდონზე ასეთი რამ უკანასკნელად მოხდა — შემდეგი წლიდან ტურნირს ახალი ცენტრალური კორტი ექნება, სახურავით აღჭურვილი, რაც იმის გარანტია იქნება, რომ მომავალში ფინალები მაინც ჩატარდება შეუწყვეტლად.

მოდით, უფრო დაწვრილებით განვხილოთ ამ დიდებული ფინალის პერიპეტიები და შემდეგ ერთ-ორი სიტყვით შევეხოთ იმ გამოხმაურებას, რაც ამ შეხვედრამ საჩოგბურთო სამყაროში ჰპოვა.

ფედერერის შეცდომა

ერთი თვის წინ „როლან გაროსის“ ფინალში განცდილი დამცირება ფედერერის თავმოყვარეობას მართლაც მწარედ მოხვედრია — მოგეხსენებათ, პარიზში ნადალმა მთლიანობაში 4 გეიმი დაუთმო ალპელს. სწორედ ამას უნდა დავაბრალოთ შვეიცარიელის მიერ შეხვედრის დასაწყისში დაშვებული შეცდომა, როცა „მხიარულმა როჯერმა“ ესპანელის უკანა ხაზიდან დაჩაგვრა სცადა, თითქოს ამით ძველი ცოდვების გამოსყიდვა უნდოდა.

თუმც მალე გამოჩნდა, რომ ფედერერი ძალიან მწარედ შეცდა — დღეს არ მოიძებნება მეჩოგნე, რომელიც პირინეელს, მნიშვნელობა არა აქვს რომელ საფარზე, ამ კომპონენტში დაჩაგრავს. თუმც როცა ალპელი ამას მიხვდა, უკვე გვიან იყო, რადგანაც ნადალმა მოასწრო ბრეიკის გაკეთება და პირველ სეტში უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

მეორე სეტის დასაწყისიდან ფედერერმა სცადა ტაქტიკის შეცვლა და ბრეიკიც გააკეთა (როგორც მერე გამოჩნდა, მატჩში ერთადერთი). თუმც ესპანელი ისევ ჯობნიდა და 2:4-დან ზედიზედ ოთხი გეიმის აღებით მეორე სეტიც სათავისოდ დაიტოვა.

აქ ფედერერი მართლაც კატასტროფის წინ აღმოჩნდა და ძნელად მოიძებნებოდა ისეთი, ვინც ალპელის შანსებზე კრინტს მაინც დაძრავდა. სხვა თუ არაფერი, უიმბლდონზე წაგებული ორ სეტის შემდეგ ფინალის მოგება ბოლოს 1927 წელს ანრი კოშემ შეძლო.

მართლაც, მატჩის ბედი თითქოს მესამე სეტის მეშვიდე გეიმში უნდა გადაწყვეტილიყო, როცა ნადალს სამმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ... როგორც ტიმ ჰენმანმა მოგვიანებით თქვა, ფედერერი რისი ფედერერი იქნებოდა, ასე იოლად დაეყარა ფარ-ხმალი და რამე სასწაული არ გაეკეთებინა. ალპელმა შეძლო ესპანელის შანსების ნიველირება, ცოტა ხანში კი შვეიცარიელს ზეცამაც გადმოხედა და გაწვიმდა...

წვიმის შემდეგ თამაში ქულაქულაში წავიდა. ფედერერმა ყველას დაანახვა თავისი საჩემპიონო სული და შეძლო საკუთარი თამაშის ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე აყვანა. აქ უკვე ისეთი ჩოგბურთი გაჩაღდა, როგორსაც ყველა მატჩის პირველი გეიმიდანვე მოელოდა — ფედერერი კარგად იყენებდა უფრო ძლიერი მოწოდების უპირატესობას და მუდმივად უტევდა. ნადალი კი გიჟივით დარბოდა კორტზე და მეტოქეს არანაკლებ მწვავედ პასუხობდა. ამის მიუხედავად, თამაში მაინც ფედერერს მიჰყავდა და მართალია, მან ბრეიკი ვერაფრით გააკეთა, მაგრამ მიზანთან ახლოს ის უფრო მეტჯერ იყო.

რადგანაც მოწოდებას არც ერთი არ თმობდა, მომდევნო ორ სეტში საქმე ტაიბრეიკებამდე მივიდა. განსაკუთრებით დაძაბული მეოთხე სეტის საჩოგბურთო ლატარია გამოდგა, სადაც ნადალს შეეძლო საქმის დროულად მოთავება — 5:2 მიჰყავდა და აწოდებდა. მაგრამ ესპანელს ამ მატჩში პირველად და უკანასკნელად აუკანკალდა ხელი, რითაც როჯერმა ისარგებლა და მაინც გამოჰგლიჯა ეს პარტია, რითაც ანგარიში გაათანბრა.

„მეოთხე სეტის მოგების შემდეგ იმედი მქონდა, რომ რაფა გატყდებოდა, ან ოდნავ უფრო მეტად დაიძაბებოდა და ამით ვისარგებლებდი“ — იტყვის ნამატჩევს ფედერერი.

მაგრამ არა — აქ უკვე ნადალის ნებისყოფა გამოჩნდა და მანაც გაძლო. ისევ ყოველმხრივ თანაბარი თამაში გაჩაღდა, რაც წვიმით გამოწვეული კიდევ ერთი იძულებითი შესვენების შემდეგაც არ შეცვლილა. ჩოგბურთელები არაფერს თმობდნენ და ისევ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. ამასობაში კი ლონდონში ბინდიც ჩამოწვა და ჩოგბურთელებიც ბურთს ძლივსღა ხედავდნენ — ისინი უფრო რეაქციის იმედზეღა იყვნენ. უკვე თამაშის ორშაბათისთვის გადადებაზე დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ ნადალმა დაასწრო დროსაც და ორგანიზატორებსაც. რაფამ მე-15 გეიმში ბრეიკი გააკეთა, შემდეგ თავისი მოწოდებაც აიღო და პირველი ესპანელი შეიქნა მანოლო სანტანას (1966) შემდეგ, რომელმაც უიმბლდონის მოგება შეძლო.

„აბა, პარიზში წაგება ამასთან რა მოსატანია. ეს ყველაზე მწარე მარცხი იყო ჩემს კარიერაში“ — აღიარა ნამატჩევს ფედერერმა.

ნადალს კი ემოციებისგან ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა:

„ოცნება ამიხდა. უიმბლდონზე თამაში ჩემთვის ყოველთვის პატივი იყო, მისი მოგება კი... ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ აქ როდისმე გავიმარჯვებდი“.

ახალი წესრიგი ჩოგბურთში?

ვითომ ეს ყველა დროის საუკეთესო მატჩი იყო? ბევრი შეიძლება ამაზე შემოგვედავოს და 1980 წლის ბიორნ ბორგისა და ჯონ მაკინროის უიმბლდონური ფინალი გაიხსენოს, როცა შვედმა ასევე მეხუთე სეტში იმარჯვა (მანამდე ტაიბრეიკი 16:18 წააგო).

თუმც მოდით, მაკინროის მოვუსმინოთ, რომელიც თავად ესწრებოდა კვირის შეხვედრას და რომელიღაც ამერიკული ტელევიზიისთვის კომენტარსაც აკეთებდა:

— ეს საუკეთესო მატჩია, რაც კი ცხოვრებაში მინახვს!

ამავე აზრზე არიან უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი ბორის ბეკერი და ახლახან კარიერადამთავრებული ტიმ ჰენმანი.

„არასოდეს მინახავს ასეთი დაძაბული და დამაინტრიგებელი მატჩი. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრებმა ფრჩხილები დაიკვინტეს ნერვიულობისგან“ — განაცხადა ბეკერმა.

„საუკეთესო სანახაობა იყო, რასაც კი ოდესმე მოვსწრებივარ. ამას 100 პროცენტიანი დარწმუნებით გეუბნებით. ნადალის ფანტასტიკური სტაბილურობა, ფედერერის გმირობანი და წვიმის გამო შეწყვეტილი მატჩი — წარმოდგენა არა მაქვს, ამაზე მეტი რა უნდა მოსთხოვო საჩოგბურთო შეხვედრას“ — ემოციებს ვერ მალავდა ჰენმანი.

ამის შემდეგ ორივე ექსმეჩოგნე ჩოგბურთში ახალი წესრიგის დამყარებაზე ალაპარკდა. არც ერთს ეჭვი არ ეპარება, რომ ნადალი მალე შეძლებს ფედერერის რეიტინგში გადასწრებას.

ბეკერი პირდაპირ ამბობს, ის ვინც ერთ წელიწადში შეძლებს „როლან გაროსისა“ უიმბლდონის მიჯრით მოგებას, უდავოდ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელია და ამის რეიტინგზე ასახვა მხოლოდ დროის საკითხიაო.

ჰენმანი კვერს უკრავს გერმანელ ლეგენდას და აცხადებს, ძალიან გამიკვირდება, რომ წლის ბოლოსთვის ფედერერი ისევ მსოფლიოს პირველ ნომრად დარჩესო.

თუმც არც ერთი არ აპირებს შვეიცარიელის ჩამოწერას. მაგალითად, ბეკერი დარწმუნებულია, რომ ფედერერი კიდევ მინიმუმ ერთ უიმბლდონს აუცილებლად მოიგებს და ბორგს მაინც გადაასწრებს.

ფედერერის შესაძლებლობებში არც ჰენმანს ეპარება ეჭვი, მაგრამ ბრიტანელი იქვე ამატებს, ახლა გამოჩნდება, როგორი ნაჭრისგან არის შვეიცარიელი შეკერილი და ვნახოთ, რამდენად მალე გაუმკლავდება ამ ძალიან მძიმე მარცხსო.

ბაჩა ლომაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცები

განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	6600
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	6055
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	4945
4. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	3045
5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	2970
6. ენდი როდიკი (აშშ)	2065
7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2030
8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	1975
9. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	1805
10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	1760
11. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	1515
12. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი)	1430
13. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	1375
14. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1365
15. რიშარ გასკე (საფრანგეთი)	1310
16. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	1305
17. ტომი რობრედო (ესპანეთი)	1300
18. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი)	1270
19. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	1265
20. ხუან მონაკო (არგენტინა)	1240

საჩემპიონო რბოლა

1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	955
2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	685
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	649
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	371
5. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	299
6. ენდი როდიკი (აშშ)	240
7. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	238
8. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	235
9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	221
10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	216
11. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	200
12. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი)	178
13. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	172
14. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	170
15. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	158
16-17. მარიო ანჩიჩი (ხორვატია)	161
16-17. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	161
18. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი)	160
19. რობინ სოდერლინგი (შვედეთი)	154
20. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი)	150

ფულადი მონაგარი

1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	5486324
2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	3250382
3. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	3014091
4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	1394356
5. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	975271
6. ენდი როდიკი (აშშ)	811062
7. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	798665
8. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	797506
9. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია)	771069
10. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	765322
11. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი)	734195
12. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	708349
13. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	699081
14. რობინ სოდერლინგი (შვედეთი)	660623
15. ნენად ზიმონიჩი (სერბეთი)	616575
16. დანიელ ნესტორი (კანადა)	615778
17. რაინერ შუტლერი (გერმანია)	569932
18. ფელიჩიანო ლოპესი (ესპანეთი)	569843
19. დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი)	568063
20. მარატ საფინი (რუსეთი)	562700

ქალები

განთესვის რეიტინგი

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	3828
2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	3685
3. მარია შარაპოვა (რუსეთი)	3626
4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	3455
5. სერენა უილიამსი (აშშ)	3126
6. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	3105
7. ვინუს უილიამსი (აშშ)	2606
8. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	2486
9. დინარა საფინა (რუსეთი)	2287
10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	2171
11. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1972
12. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	1927
13. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1802
14. აგნეს სჟავაი (უნგრეთი)	1694
15. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	1420
16. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	1386
17. ნადია პეტროვა (რუსეთი)	1321
18. მარია კირილენკო (რუსეთი)	1208
19. ფრანჩესკა შიავონე (იტალია)	1201
20. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	1190

საჩემპიონო რბოლა

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	2761
2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	2645
3. სერენა უილიამსი (აშშ)	2465
4. მარია შარაპოვა (რუსეთი)	2455
5. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2051
6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	1821
7. ვინუს უილიამსი (აშშ)	1766
8. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	1727
9. დინარა საფინა (რუსეთი)	1723
10. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1543
11. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	955
12. პატი შნიდერი (შვეიცარია)	945
13. ალიზ კორნე (საფრანგეთი)	927
14. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	883
15. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	846
16. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია)	790
17. აგნეს სჟავაი (უნგერთი)	787
18. ფლავია პენეტა (იტალია)	782
19. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია)	749
20. ნადია პეტროვა (რუსეთი)	747

ფულადი მონაგარი

1. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	2521156
2. სერენა უილიამსი (აშშ)	2138312
3. ვინუს უილიამსი (აშშ)	2114697
4. მარია შარაპოვა (რუსეთი)	1924879
5. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	1545082
6. დინარა საფინა (რუსეთი)	1287669
7. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1161538
8. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	1088787
9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	835377
10. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	749161
11. ჟი ჟენგი (ჩინეთი)	653578
12. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი)	581235
13. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	578587
14. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია)	538255
15. ალიონა ბონდარენკო (უკრაინა)	478756
16. შაჰარ პირი (ისრაელი)	463446
17. აი სუგიამა (იაპონია)	461116
18. ჟუსტინ ენინი (ბელგია)	458470
19. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	455672
20. ნადია პეტროვა (რუსეთი)	444835

სარეიტინგო ადი-ჩადი



ანა ტატიშვილი

გუშინდელი დღიდან საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი ანა ტატიშვილია. 18 წლის ანამ ბოლო ერთ თვეში ITF-ის ეგიდით გამართული ორი, საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირი მოიგო — ჯერ ელ პასოში (საპრიზო ფონდი 25 000 დოლარი) და გასულ კვირას კი ბოსტონში (50 000), ამ წარმატებების წყალობით WTA-ს რეიტინგის მეორე ასეულში შეაღწია და ქართული ჩოგბურთის ბოლო წლების ლიდერ მაკა ჩახნაშვილს კლასიფიკაციაში გადაასწრო.

კაცები
452 (0) ლადო ჩიხლაძე) ---------- 62
1153 (+60) ნოდარ ითონიშვილი -- 5
1261 (-) ლაზარე კუხალაშვილი -- 3
1597 (+1) გიორგი ჭანტურია ----- 1
1806 (-14) გიორგი ხრიკაძე ------- 1
ქალები
174 (+38) ანა ტატიშვილი ------- 168
208 (-29) მაკა ჩახნაშვილი ------ 136
302 (+12) სოფო შაფათავა ------- 77
488 (-6) თინა ყაველაშვილი ------- 34
536 (-8) სალომე დევიძე ---------- 29
556 (-3) ოქსანა კალაშნიკოვა --- 27
583 (+9) მანანა შაფაქიძე -------- 24
684 (+7) სოფო ქვაცაბაია -------- 17
725 (-5) ეკა გორგოძე ----------- 14
914 (-2) მაგდა ოქრუაშვილი ------ 6
1002 (-7) სოფო მელიქიშვილი ---- 4

უიმბლდონის დაწყებამდე, ანუ ორი კვირის წინ გამოქვეყნებულ რეიტინგთან შედარებით, ტატიშვილმა ერთბაშად 38 პოზიცია მოიგო და ჩახნაშვილმა კი ამავე პერიოდში 29 საფეხურით დაბლა დაიწია. ახლა ანა 174-ეა, ხოლო მაკა 208-ე და როგორც ვთქვით, საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალის სტატუსიც ტატიშვილისაა.

გუშინ გამოქვეყნებულ რეიტინგებში კიდევ ორი ქართველი ქალი მეჩოგნეა კარიერის უმაღლეს საფეხურზე — სოფო შაფათავა და მანანა შაფაქიძე, სულ კი WTA-ს კლასიფიკაციაში, კვლავაც 11 ჩვენებურია.

რაც შეეხება ATP-ის რეიტინგს, იქ ქართველებს მატება გვაქვს — კლასიფიკაციაში პირველად გამოჩნდა ჯერაც იუნიორთა ტურნირებზე მოთამაშე ლაზარე კუხალაშვილი, რომელსაც ამ ორიოდე კვირის წინ ირლანდიაში კარგი თამაში დაუფასდა (იქ ლაზარემ კვალიფიკაციიდან დაიწყო და მეოთხედფინალს უწია).

ლაბაძე ჰოლანდიაში, ჩიხლაძე აზერბაიჯანში

ოდესღაც ATP-ის რეიტინგის მოწინავე ორმოცდაათეულის წევრი ირაკლი ლაბაძე ბოლო წლებში გახშირებული ტრავმიანობისა და უთამაშებლობის გამო, თითქმის ერთი წელია, საერთოდ აღარ ფიგურირებს კლასიფიკაციაში.

ირაკლიმ ტრავმები უკვე მოიშუშა და ის გულმოდგინედ ცდილობს ძველი პოზიციების დაბრუნებას. მართალია, ამ ცდებს ჯერჯერობით შედეგი არ მოაქვს, მაგრამ ისიც ხომ სათქმელია, რომ ამდენი ხნის უქმობის შემდეგ ძველ დონეზე თამაში ძალიან ძნელია.

ამ კვირაში ლაბაძე ჰოლანდიაშია. ქალაქ შევენინგენის თიხნარზე 85-ათასიანი ჩელენჯერი ტარდება. ჩვენებური იქ შეჯიბრის ორგანიზატორთა მიწვევით თამაშობს. პირველ წრეში ირაკლის მეტოქე არგენტინელი ლეონარდო მაიერი იქნება და თუ მოიგებს, მეორე წრეში გერმანელ ბიორნ ფაუსა და ლიტველ რიკარდას ბერანკისს შორის საუკეთესოს დაუპირისპირდება.

ასევე ტრავმებით გამოწვეული კარგახნის შესვენების შემდეგ, ამ კვირაში კორტზე გამოჩნდება საქართველოს სადევისთასო ნაკრების მეორე ლიდერი ლადო ჩიხლაძეც. აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოს თიხნარზე ITF-ის ეგიდით ტარდება შეჯიბრი და ლადო იქ პირველ ნომრადაა განთესილი. ჩიხლაძის გარდა ბაქოს ტურნირის ძირითად ბადეშია ნოდარ ითონიშვილიც, ხოლო კიდევ სამი ჩვენებური საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდილობს ძირითად ბადეში მოხვედრას.

უფრო ზუსტად, საკვალიფიკაციო ეტაპზე ექვსი ქართველი იყო, მაგრამ სამი პირველივე წრეში დამარცხდა — ნოდარ ქარჩაიძეს 6:1 6:1 სძლია სოლომონის კუნძულების წარმომადგენელმა მიხაელ ლესინგმა, ნოდარ ქურდაძეს 6:3 6:0 მოუგო ლიტველმა ოსკარს ვასკისმა, ხოლო ნიკა კაკულია 3:6 5:7 დამარცხდა კიდევ ერთ ქართველთან, დემეტრე თაქთაქიშვილთან.

მეორე წრეში თაქთაქიშვილი მასპინძელ თალათ ბაჰიმოვს ხვდება, ხოლო გიორგი ხრიკაძე და ლაზარე კუხალაშვილი, რომლებიც პირველ წრეში თავისუფლები იყვნენ, შესაბამისად, რუს ეიდარ არტიომოვს და ბელარუს ნენადი ურბანოვიჩს დაუპირისპირდებიან.

ახლა, რაც შეეხება ამ კვირაში მოთამაშე ქართველ ქალებს. იტალიაში, კერძოდ კი სიცილიური პალერმოს თიხნარზე WTA-ტურის ეგიდით 145-ათასიანი ტურნირი ტარდება. მაკა ჩახნაშვილმა საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში 6:2 6:3 მოუგო ბულგარელ ბაიანა პავლოვას, შემდეგ კი 6:4 7:6 დაამარცხა ჩინელი ი ფაინ ხუ. მესამე და ძირითად ბადეში მოსახვედრად გადამწყვეტ შეხვედრაში მაკას მეტოქედ კვალიფიკანტთა შორის მესამე ნომრად განთესილი შვეიცარიელი ემანუელ გალიარდი ერგო.

სოფო შაფათავაც იტალიაშია. რომში, ტევერო რემოს თიხნარზე 25-ათასიანი ტურნირი ტარდება და მე-8 ნომრად განთესილი სოფო პირველ წრეში კვალიფიკაციაგამოვლილ მასპინძელს, 16 წლისა და რეიტინგის 547-ე საფეხურზე მყოფ კამილა ჯიორჯის შეხვდება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალენტაუნის ჰარდზე კი 50-ათასიანი ტურნირია, რომლის ძირითად ბადეში ანა ტატიშვილია, ხოლო სალომე დევიძე და სოფო მელიქიშვილი კვალიფიკაციიდან ცდილობენ იქ მოხვედრას.

პირველ წრეში სალომემ 6:0 6:1 მოუგო ამერიკელ დენის შეკველფორდს და ახლა კიდევ ერთ მასპინძელს, ნეა უბეროის შეხვდება, მელიქიშვილმა კი საწყის შეხვედრაში 6:4 6:2 აჯობა ასევე ამერიკელ რიზა სალამედას და ახლა კვალიფიკანტთა პირველ ნომერთან, კიდევ ერთ მასპინძელ ჯულია კოენთან გაარკვევს ურთიერთობას.

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№1 საავტომობილო ზეთი

რიკარდოს რეკორდს რუბენსი მოერია

ყველაზე დღეგრძელი მეფორმულე ბრაზილიელია



რუბენს ბარიჩელო

ბრაზილია

დაიბადა 1972 წლს 23 მაისს სან პაულუში

სიმაღლე 172 სმ; წონა 71 კგ

ცხოვრობს მონტე კარლოსა და სან პაულუში

ჰყავს მეუღლე სილვანა და ორი შვილი — ედუარდო და ფერნანდო

ფორმულა 1-ში დებიუტი: 1993 — სამხრეთ აფრიკის დიდი პრიზი

პირველი გამარჯვება: 2000 წელი — გერმანიის დიდი პრიზი

მსოფლიოს 2002 და 2004 წლების ვიცე-ჩემპიონი

2001 წლის მესამე პრიზიორი

258 რბოლა, 9 მოგება, 62 პოდიუმი, 13 პოულ-პოზიცია, 15 უსწრაფესი წრე, 530 ქულა

გუნდები: „ჯორდანი“ (1993-1996), „სტიუარტი“ (1997-1999), „ფერარი“ (2000-2005), „ჰონდა“ (2006 წლიდან)

36 წლის ბრაზილიელი მეფორმულე რუბენს ბარიჩელო ჩემპიონატის გუშინწინდელ, ბრიტანულ ეტაპს სუპერრეკორდსმენის რანგში შეხდა. ორი კვირის წინ, საფრანგეთის გრან პრიზე მან „სამეფო რბოლების“ ყველაზე ძველი მიღწევა დაამხო, რომელსაც იტალიელი რიკარდო პატრეზე 15 წელი ფლობდა.

პადუელმა პილოტმა 17-სეზონიანი კარიერა 1993 წელს 256 რბოლის შემდეგ დაასრულა. სამძღოლო დღეგრძელობის ეს უნიკალური შედეგი რუბენსმა მანი კურის ტრასაზე გაჯირითებით გაუმჯობესა.

პატრეზეს მიღწევა იმდროინდელი გადასახედიდან სამუდამო თუ არა, ყოველ შემთხვევაში ისეთი ჩანდა, ძალიან დიდი ხნის სიცოცხლე რომ ეწერა. მეორე შედეგის მქონე, უკვე პენსიონერი ბრაზილიელი ნელსონ პიკე 52 რბოლით ჩამორჩებოდა, მოქმედი პილოტები კი ორასთან ახლოც არ იყვნენ.

პატრეზეს ხანა

ფორმულა 1-ის უთვალავ სტატისტიკურ რეიტინგსა და ცხრილებს შორის რამდენიმეა ყველაზე პრესტიჟული. უპირველესად, ესაა ჩემპიონის ტიტულების რაოდენობა, შემდეგ — მოგებული რბოლები, პოულ-პოზიციები, უსწრაფესი წრეები. მათზე საპატიობით ოდნავ ნაკლებია მძღოლთა მიერ ჩატარებული ეტაპების რიცხვი. ეს მაჩვენებელი სპორტსმენთა ნიჭიერების დონესა და შედეგიანობას ცხადად არ ასახავს, თუმც, მეორე მხრივ, „დიდ ცირკში“ ორასიოდე გაჯირითებაც მძღოლის ბევრ დადებით თვისებაზე მეტყველებს. ნიშანდობლივია, რომ ამ ნომინაციით ლიდერები სულაც არ არიან ჩემპიონები.

ეს ახლაა, რომ ყოველწლიურად თითქმის ორი ათეული გრან პრი ეწყობა, მსოფლიოს ჩემპიონატების გარიჟრაჟზე კი სეზონის კალენდარი 6-8 რბოლით იფარგლებოდა. ამიტომაც გასული საუკუნის 50-იანი წლების ვერც ერთმა პილოტმა ვერ მოასწრო ასეტაპიანი ბარიერის დაძლევა. ეს მხოლოდ 1968 წელს მოახერხა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ავსტრალიელმა ჯეკ ბრებემმა, იმავე წელს ზღვარი ინგლისელმა გრემ ჰილმაც გადალახა. ორგზის ტრიუმფატორი ჰილი 1975 წლამდე დაქროდა ტრასებზე და რეკორდის ჭერი 176 რბოლამდე ასწია. ეს მიღწევა 14 წელი ურყევად იდგა, ვიდრე ესტაფეტას პატრეზე აიტაცებდა. აქვე იმაზეც, რომ დღემდე ხელუხლებელია ჰილის მეორე რეკორდი, მან ფორმულა 1-ში 18 სეზონი გაატარა.

რიკარდომ კიდევ ოთხი სეზონი იჯირითა და ექვსგუნდმოვლილი, 39 წლისა პენსიაზე გავიდა ექვსი გამარჯვებითა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის (1992) რანგში. პადუელი პილოტის ანგარიშზე 256 რბოლა იყო მანამდე გამართული 537-დან, ესე იგი, თითქმის ნახევარში მონაწილეობდა.

ისე, პატრეზეს, სულ ცოტა, ერთი სეზონით მაინც ჰქონდა საფორმულო ცხოვრების გაგრძელების ვარიანტი. 1994 წლის მაისში იმოლას ავტოდრომზე რბოლისას ლეგენდარულ აირტონ სენას დალუპვის შემდეგ ფრენკ უილიამსმა რიკარდოს დაურეკა და თავის გუნდში დაბრუნება შესთავაზა. იტალიელმა ცოლ-შვილთან მშვიდი ცხოვრება ამჯობინა და ბოსს ამ მაცდურ წინადადებაზე უარი უთხრა. „უილიამსში“ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ სენას ადგილი ახალბედა დეივიდ კულტჰარდმა დაიკავა.

ყველაზე მეტი რბოლა

	მრბოლი	ქვეყანა	რბოლა	ჯილდო
1	რუბენს ბარიჩელო	ბრაზილია	258	9
2	რიკარდო პატრეზე	იტალია	256	6
3	მიხაელ შუმახერი	გერმანია	248	91
4	დეივიდ კულტჰარდი	დიდი ბრიტანეთი	237	13
5	გერჰარდ ბერგერი	ავსტრია	210	10
6	ანდრეა დე ჩეზარისი	იტალია	208	0
7	ნელსონ პიკე	ბრაზილია	204	23
8	ჯანკარლო ფიზიკელა	იტალია	203	3
9	ჟან ალეზი	საფრანგეთი	201	1
10	ალენ პროსტი	საფრანგეთი	199	51
11	მიქელე ალბორეტო	იტალია	194	5
12	იარნო ტრული	იტალია	190	1
13	ნაიჯელ მენსელი	დიდი ბრიტანეთი	187	31
14	რალფ შუმახერი	გერმანია	180	6
15	გრემ ჰილი	დიდი ბრიტანეთი	176	14
	ჟაკ ლეფიტი	საფრანგეთი	176	6
17	ნიკი ლაუდა	ავსტრია	171	25
18	ჟაკ ვილნევი	კანადა	164	11
19	ტიერი ბუტსენი	ბელგია	163	3
20	მიკა ჰაკინენი	ფინეთი	162	20
	ჯენსონ ბატონი	დიდი ბრიტანეთი	144	1
	ნიკ ჰაიდფელდი	გერმანია	141	0
	კიმი რაიკონენი	ფინეთი	129	17
	ფერნანდო ალონსო	ესპანეთი	112	19
	მარკ ვებერი	ავსტრალია	112	0

სუპერრუბინიო

საინტერესოა, რომ ბარიჩელოს დებიუტი შედგა პატრეზესთვის საბოლოო 1993 წლის ჩემპიონატში. ბრაზილიელი „ჯორდანის“ საჭეს 20 წლისა მიუჯდა და ფორმულა 1-ის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ყმაწვილ-პილოტიც შეიქნა. უკვე მომდევნო წელს კი ბელგიის გრან პრიზე კვალიფიკაციის მოგებით გახდა ყველაზე ახალგაზრდა მრბოლი, ვინც პოულ პოზიციის დაკავება შეძლო. რუბინიოს ეს რეკორდი ცხრა წლის შემდეგ ფერნანდო ალონსომ ჩამოართვა.

ბარიჩელომ 16 საკარიერო სეზონში ოთხ გუნდში მოსინჯა ძალა. ცხადია, მისთვის ყველაზე წარმატებული გამოდგა „ფერარიში“ გატარებული ექვსი წელი. იგი იტალიური სუპერსაჯინიბოს პირველი ბრაზილიელი პილოტია, „სკუდერიაში“ ორჯერ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა და ცხრავე გამარჯვებაც იქ იზეიმა.

რუბენსმა თავისი მე-200 რბოლა ჩაფლავა — 2005 წელს ბარსელონაში, ესპანეთის გრან პრიზე უქულო, მეცხრე ადგილი დაიკავა.

სხვათა შორის, „წითელ საჯინიბოში“ ყოფნის იმ ბოლო სეზონში მას წლიური 10 მილიონდოლარიანი ხელფასი ჰქონდა, ფორმულის მთელ ისტორიაში სიდიდით მეცხრე ანაზღაურება.

ორასიანი ზღუდე ცხრა პილოტს აქვს გადალახული. მხოლოდ მიხაელ შუმახერმა შეძლო ზესაიუბილეო რბოლაში გამარჯვება, თანაც ჰეთ თრიქით (პოულ-პოზიცია, უსწრაფესი წრე, მოგება) — 2004 წელს, მშობლიურ „ნიურბურგრინგზე“. დეივიდ კულტჰარდი შარშანწინ მონაკოში მესამე ადგილზე გავიდა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ნელსონ პიკემ კი შორეულ 80-იან წლებში მხოლოდ კინკილა ქულის შოვნა შეძლო. დანარჩენები მშრალზე დარჩნენ.

ცნობისთვის, ბარიჩელოს სათვალავში 262 ეტაპია, მაგრამ სწორედ ეტაპი და არა რბოლა, რადგან ორ-ორჯერ სტარტამდე ავარიისა და გასახურებელ წრეზე ძრავის მიზეზით უშუალოდ რბოლაში ვეღარ ჩაება. ასე რომ, საკვირაო რბოლა მისთვის 258-ე გახდა. ამასთან, ზეწარმატებულიც — უკეთეს შედეგს ახლანდელი „ჰონდათი“ ბრაზილიელი ვეტერანი ვერც ინატრებდა. კვირას ლეგენდარულ „სილვერსტოუნზე“, სადაც 59 წლის წინ ფორმულა 1-ის აკვანი დაირწა, წვიმიან, მძიმე რბოლაში ფინიშთან მესამე მივიდა. ეს ბარიჩელოსთვის 62-ე საკარიერო პოდიუმია („სამეფო რბოლების“ ისტორიაში მეოთხე შედეგი), რომელზეც ბოლო სამი წელი ვეღარ შემდგარიყო.

რუბენსი მოძალებული ასაკის მიუხედავად, ფორმულიდან წასვლას ჯერ არ აპირებს, თავს ისევ ახალგაზრდად ვგრძნობ და მინდა 300 რბოლა დავაგროვოო. საამისოდ მას 2010 წლის ბოლომდე მოუწევს საჭის ტრიალი. მისი უახლოესი კონკურენტი კულტჰარდი კია, ფუმც 37 წლისა და სადღეისოდ 237-რბოლიანმა შოტლანდიელმა სეზონის ბოლოს გაპენსიონერება გადაწყვიტა.

პატრეზემ რეკორდის დამყარებას 14 წელი შეალია, ბარიჩელომ — 15. რა გამოდის, ახალი მიღწევის დამყარებას კიდევ ერთი ამდენი ხანი უნდა ველოდოთ, ან შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ თუ რუბენსი 300-იან ზღუდეს მიაღწევს, იქნებ სამუდამო მერეკორდედაც დარჩეს.

გია ახალაძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge